# საერთო გაზეთი

№26 (437) • 5 ივლისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## რატომ „ჩაყლაპა“ ვენეციის კომისიამ 2010 წელს სააკაშვილის „ცულლუტობა“ და რატომ არ გაუჩნდა მაშინ ბატონ ბუკიკიოს იმედგაცრუების გრძნობა?





## მეორე მსოფლიო ომი ხუთ წელიწადში დამთავრდა, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება კი 24 წელია გრძელდება

## „ადამიანი ბუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს!“

## მაღალი, ლამაზი, ახოვანი... უვარგისი!



ზაალ უდუმაშვილი, იმის მაგივრად, რომ პროკურატურაში დადიოდეს დაკითხვებზე და ჩვენებებს იძლეოდეს, საარჩევნო პროპაგანდა-აგიტაციით არის დაკავებული.

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

## არც ვინმეს დახვრეტას ვითხოვ და არც ვინმეს სარზე გასმას, მაგრამ ქვეყნის მოღალატე ამ ფსევდოლიბერალებს ვირის აბანო ნამდვილად მოუხდებოდა



## სკანდალური ინტერვიუ



## დენიზა სუმბაძე:

## ეს არის პოლიტიკური ვამპირიზმი...

„ეს არის ებრაელთა მცდელობა მთლიანად ჩაენაცვლონ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ხალხს. ებრაელები თვითონ აცხადებენ საკუთარ თავს იბერიელებად. აკეთებენ ქართველებისა და ებრაელების სისხლის ანალიზებს და აცხადებენ, რომ ქართული და ებრაული სისხლი ყველაზე ნათესაურია მსოფლიოში“.



## გაათბობს თუ გააცივებს ივლისი მსოფლიოს პოლიტიკურ კლიმატს?

## შამბალა - ქვეყანა, რომელიც ღმერთს ეკუთვნის

# მაღალი, ლამაზი, ახოვანი და... უვარგისი!

**● ზაალ უდუმაშვილი, იმის მაგივრად, რომ პროკურატურაში დადიოდეს დაკითხვებზე და ჩვენებებს იძლეოდეს, საარჩევნო პროპაგანდა-აგიტაციით არის დაკავებული.**

**● ჭკვიანია უდუმაშვილიო, რომ გაიძახიან ვიღაც-ვიღაცები, ქვეყანას სწორედ უდუმაშვილისნაირი ჭკვიანები ღუპავენ**

ამასწინათ ბაზრობაზე ვიყავი — საკანცელარიო ნივთები და კიდევ სხვა წვრილმანები უნდა შემეძინა.

გამყიდველი ქალბატონები ყურადღებით და თავაზიანად მემსახურებოდნენ.

უცებ ვიღაცამ იყვირა — მოდის! მოდის!

ამის გაგონება და ქალბატონებმა ერთბაშად იხუვლეს და ქუჩაში გავარდნენ.

ზალიკო მოდიოდა, თურმე, უდუმაშვილი...

დიდი ჟრიამული, დიდი ხვევნა-კოცნა შეიქნა.

აჟივჟივებულ ქალბატონებში ჩამდგარი ზალიკო ფლაერებს და ფლაერებთან ერთად უხვ დაპირებებსაც არიგებდა.

ცოტა ხანში გამყიდველი ქალბატონები დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდნენ, თუმცა მოჭარბებული ემოციებისგან გათავისუფლება გაუჭირდათ.

— როგორი ლამაზია! როგორი ახოვანია! როგორი ჭკვიანია! — იმეორებდნენ გაბრწყინებული თვალებით და ზალიკოს ფოტოებს მხურვალედ კოცნიდნენ.

მთელმა ოცდაშვიდმა თუ ოცდაათმა წელმა ერთბაშად, კინოკადრებივით ჩამირბინა თვალწინ.

ეს ადამიანები ამ ხნის განმავლობაში სულ ვიღაცების ფოტოებს კოცნიდნენ, უჩოქებდნენ, უმღეროდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ, ხოტბას ასხამდნენ, ადიდებდნენ და აღმერთებდნენ. მაგრამ მათ დუხჭირ ყოფაში სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა.

ძალიან გავმწარდი.

— არც თქვენი და არც ამ ქვეყნის საშველი არ იქნება-თქო,— მივახალე ქალბატონებს და წასვლა დავაპირე.

წასვლა ეგრე არ უნდაო და, რომ დამესივნენ, კინაღამ თვალები ამომკორტნეს.

რა თქმა უნდა, ყველა იმ უბედურებაში, რაც კი აქამდე თავს გადახდათ, მე და ჩემნაირებს დაგვედო ბრალი, ახლა კი ბრალი იმაშიც გვედებოდა, რომ მე და ჩემნაირები ისევ ვცდილობთ, მათ ბედნიერებას ხელი შევუშალოთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ლამაზი, ახოვანი ზალიკოს მერად არჩევას დაბრკოლებებს ვუქმნით და არ გვჯერა, რომ სწორედ მერი ზალიკო ააყვავებს ამ ქალაქსაც და ამ ქვეყანასაც.

— არა მარტო ლამაზი და ახოვანია, არამედ, გასკდით გულზე, ძალიან ჭკვიანიც არის ჩვენი ზალიკო! — კატეგორიული ტონით მითხრა ერთმა ქალბატონმა.

— არ იცის ამ ქალბატონმა, რომ, სწორედ ზალიკოსნაირი ჭკვიანები ღუპავენ ქვეყანას...

* * *

ხუთი წელი გავიდა 2012 წლის ოქტომბერში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ.



მიუხედავად იმისა, რომ ხუთი წელი არ არის მცირე დრო, აქამდე ვერა და ვერ მოხერხდა „ნაცმოძრაობის“ 9-წლიანი რეჟიმის მიუკერძოებელი და ობიექტური სამართკებრივი და პოლიტიკური შეფასება სახელმწიფოებრივ დონეზე.

მართალია, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ცალკეული პირები, მაგრამ „ნაცმოძრაობამ“, როგორც ორგანიზაციამ, ჩვეულებრივად გააგრძელა პოლიტიკური საქმიანობა, თითქოს ის არაფერ შუაში იყო იმ ბოროტებასთან, რაც ქვეყანაში ცხრა წლის განმავლობაში მძვინვარებდა.

იურისპრუდენციაში არსებობს ასეთი ტერმინი — ორგანიზებული დანაშაული, რაც ისეთ დანაშაულს ნიშნავს, სადაც მრავალი პირი მონაწილეობს, რომლებსაც გადანაწილებული და განსაზღვრული აქვთ ფუნქციები.

„ნაცმოძრაობა“ სწორედ ასეთ ორგანიზაციულ დანაშაულებრივ გაერთიანებას წარმოადგენდა, სადაც ყველას თავისი როლი და ფუნქცია ჰქონდა მიჩენილი.

ცხადია, შეცდომაა დამნაშავედ მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ იმ წევრთა წარმოჩენა, რომლებსაც რაღაც კონკრეტული დანაშაულები აქვთ ჩადენილი.

ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად დამნაშავეა ყველა ის პირი, რომლებიც მათთვის მიჩენილ სამოქმედო უბანზე, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში მხარს უჭერდა და ამაგრებდა იმ დანასაულებრივ სისტემას, რომელიც „ნაცმოძრაობამ“ შექმნა.

ვისაც უშუალოდ არ მოუკლავს, ვისაც უშუალოდ არ უწამებია, ვისაც უშუალოდ არ წაურთმევია და არ დაუყაჩაღებია, ვისაც უდანაშაულო ადამიანები უშუალოდ ციხეში არ გაუგზავნია, მაგრამ იცოდა რა ეს ყველაფერი და მაინც „ნაცმოძრაობის“ სამსახურში იდგა, ცხადია, თვითონაც თანამონაწილეა ყველა იმ დანაშაულისა, რაც ჩამოვთვალეთ.

ბატონი ზაალ უდუმაშვილი და მისი კოლეგა ჟურნალისტები წლების განმავლობაში იდგნენ „ნაცმოძრაობის“ სამსახურში, როგორც „რუსთავი-2“-ში, ასევე სხვა საინფორმაციო საშუალებებში და „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ-აგიტაციური მანქანის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდნენ.

სწორედ უდუმაშვილები აპიარებდნენ და „აპრავებდნენ“ „ნაცმოძრაობის“ ქმედებებს, ეწეოდნენ ფაქტების ფაბრიკაციას და დამახინჯებას, მალავდნენ და ჩქმალავდნენ „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილ დანაშაულებს, „მაკიაჟს“ უკეთებდნენ და შელამაზებულ-შეფერადებული სახით წარუდგენდნენ მაყურებელს დანაშაულის ნიშნების შემცველ სხვადასხვა ინფორმაციებს, მონაწილეობდნენ უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ კომპრომატების შეთითხვნასა და მათ გავრცელებაში.

„ნაცმოძრაობა“ კოლექტიური უდუმაშვილების მხრებზე იდგა და დგას დღემდე.

ბატონი უდუმაშვილი, სანამ თბილისის მერობას გადაწყვეტდა, ჯერ უკრაინაში გაემგზავრა მიხეილ სააკაშვილთან კონსულტაციების გასავლელად და მხოლოდ მისი რეკომენდაციის და „კურთხევის“ შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ თბილისის მერობისთვის იბრძოლებდა.

ზაალ უდუმაშვილი უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის პირადი კანდიდატია, მისი ფავორიტია.

განა სასაცილოც და, იმავე დროს, სატირალი არ არის, როდესაც სისხლის სამართლის დამნაშავედ გამოცხადებული პირი, რომლის ექსტრადაციასაც საქართველოს ხელისუფლება დღემდე ითხოვს, ისეთ უმნიშვნელოვანეს პოსტზე, როგორიც თბილისის მერობაა, ბედავს და თავის რჩეულ კანდიდატს წარადგენს?

ასეთი რამ მხოლოდ ქურდულ „სხადნიაკზე“ შეიძლება მოხდეს, როცა ატამანი რომელიმე ქალაქის თუ ზონის „მაყურებლად“ და „ზედამხედველად“ თავის ერთგულ კაცს გაამწესებს ხოლმე და „სხადნიაკის“ წევრები მის შემოთავაზებაზე უარს ვერ ამბობენ. საკითხავია რატომ არ დაიბარეს პროკურატურაში უკრაინიდან დაბრუნებული უდუმაშვილი და რატომ არ კითხეს რა ესაქმებოდა სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ და ძებნაში მყოფ პირთან?

დავუშვათ, მოხდა სასწაული და უდუმაშვილი თბილისის მერად აირჩიეს.

რა სურათს მივიღებთ ამ შემთხვევაში?

რა სურათს მივიღებთ და თბილისის მერად გვეყოლება მრავალ დანაშაულში ბრალდებული და ძებნაში მყოფი პირის მიერ ხელდასმული ადამიანი, რომელიც მთლიანად იქნება მიჯაჭვული მისი ხელდამსმელის და რეკომენდატორის — სააკაშვილის ნებაზე.

* * *

სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილი სულელები ან გიჟები კი არ არიან იმდენად საშიშნი, რამდენადაც ჭკვიანები, რომლებიც საკუთარი კონფორმისტულ-ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე, სულელებს და გიჟებს ძალაუფლების შენარჩუნებასა და გაძლიერებაში ეხმარებიან, რის სანაცვლოდაც სერიოზულ ფინანსურ და მატერიალურ სარგებელს ნახულობენ.

ჭკვიანი ადამიანი, რომელსაც ხელი აქვს აღებული სინდისზე და მზად არის, მიეყიდოს ნებისმიერ სალახანას და ავაზაკს, გაცილებით დიდ ზიანს აყენებს საზოგადოებას, ვიდრე თავად სალახანა და ავაზაკი.

ზაალ უდუმაშვილი სწორედ ის ჭკვიანი კაცია, რომელსაც არასოდეს ამოუღია ხმა იმ უმსგავსობის წინააღმდეგ, რომელიც მის გარშემო ტრიალებდა.

სწორედ ამით დაიმსახურა მან დიდი ატამანის ნდობა და პატივისცემა და სწორედ ამის გამო იქცა მის ფავორიტად და ფალავანად.

ვაჟა-ფშაველამ ბრძანა „ბილწთ არ შეეკვრი ზავითა“-ო.

როცა თანახმა ხარ, ბილწთ ზავითაც შეეკრა და მათ მსახურად, მათი ბილწი ზრახვების „გამპრავებლად“ იქცე და ამას იმით ხსნი, რომ ჭკვიანი ხარ, ეს უკვე ჭკუა კი არა, დიდი ბოროტებაა.

...ამ წერილის წერისას სულ ერთი ადამიანის გვარ-სახელი მიტრიალებდა თავში, არადა, ისე გავასრულე წერილი, მისი გვარ-სახელი არ მიხსენებია...

ნიკა გვარამია — ზალიკო უდუმაშვილის დამფრთიანებელი, მისი მოძღვარი და მასწავლებელი, უდუმაშვილების გუნდის მთავარი მწვრთნელი და სელექციონერი, „დიდი ატამანის“ თვალი და ყური, საქართველოს „ზონის“ „მაყურებელი“, ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვის, ადამიანთა დაზომბირების დიდოსტატი.

აი, საიდან მოდის ზაალ უდუმაშვილი — მაღალი, ლამაზი, ახოვანი და ქვეყნისთვის მაინც მავნებელი და უვარგისი კაცი...

**ვახტანგ ხარჩილავა**

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

# რატომ „ჩაყლაპა" ვენეციის კომისიამ 2010 წელს სააკაშვილის „ცუღლუტობა" და რატომ არ გაუჩნდა მაშინ ბატონ ბუკიკიოს იმედგაცრუების გრძნობა?

შეიძლება უბრალო დამთხვევაა, მაგრამ კარგად თუ დავაკვირდებით, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით უკმაყოფილო უცხოელი პოლიტიკოსებისა და ჩინოვნიკების კრიტიკას ყოველთვის სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდამდე მივყავართ, როცა იგივე ადამიანები ქებასა და დიდებას აღავლენდნენ საქართველოში დემოკრატიის ზრდის უპრეცედენტო მასშტაბების გამო.

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს სამდღიანი ვიზიტით მყოფმა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტმა ღრმა მწუხარებით გვამცნო, რომ კონსტიტუციის ცვლილებების პროექტის საბოლოო რედაქციით დამწუხრებული და იმედგაცრუებულია და ეს გრძნობა ყოველ საათში კიდევ უფრო უმძაფრდება: „მე ძალიან, ძალიან იმედგაცრუებული ვარ. ყოველ საათში კიდევ უფრო იმედგაცრუებული ვხდები, ვინაიდან ძალიან მჯეროდა, რომ საქართველოს პოლიტიკური კლასი შეძლებდა წინ კარგი ნაბიჯის გადადგმას უფრო დემოკრატიული კონსტიტუციისთვის. დღეს სამწუხაროდ თქვენ კრიზისში ხართ. მე იმედგაცრუებული ვარ, ვინაიდან პროცესი დაბლოკილია. ამ მომენტისთვის მხარეებს შორის დიალოგს ვერ ვხედავ. ჩემი მესიჯი იქნება: ესაუბრეთ ერთმანეთს." – აღნიშნა ჯანი ბუკიკიომ. ვენეციის კომისიის პრეზიდენტის კრიტიკას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მყისიერი რეაქცია მოჰყვა. საქართველოს პრემიერ მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ბრალდებების მოსმენა იმ ადამიანებისგან უწევთ, რომლებმაც ისეთ კონსტიტუციას აუნთეს „მწვანე შუქი", რომელშიც დემოკრატიის საბაზისო პრინციპები დამახინჯებული იყო. „არდანახვა იმ უზარმაზარი ნაბიჯების, რომელიც ჩვენმა გუნდმა გადადგა, ნამდვილად პოლიტიკური აქტია" – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბუკიკიოს საათობრივად დამძიმებულმა იმედგაცრუებამ, რაც მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენა გახლავთ, თავის მხრივ, იმედები პარლამენტის ვიცე სპიკერს გიორგი ვოლსკისაც გაუცრუა:

„მისი შეფასებით იმედგაცრუებული ვარ, იმდენად, რამდენადაც დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ სიღრმისეულ ანალიზს გაითვალისწინებდა, რაზეც ვისაუბრე. მის მიმართ პატივისცემას ვადასტურებ, გვერდში გვიდგას. ხშირ შემთხვევაში საინტერესო და მისაღები შენიშვნები აქვს, მაგრამ როცა 2010 წელს სააკაშვილმა მათი არც ერთი შენიშვნა და წინადადება არ გაითვალისწინა და კონსტიტუცია ტანზე მოირგო, არ მახსოვს, რომ მისი იმედგაცრუება ასეთი მკაფიო ყოფილიყო და მკაცრი გამოხატულება ჰქონოდა, თუმცა შეიძლება ვცდებოდე, რადგან შენიშვნები მაშინაც ჰქონდა და ახლაც აქვს." – განაცხადა ვოლსკიმ.



ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებზე კამათი ვენეციის კომისიის პრეზიდენტის ვიზიტამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო. ქართული ოცნების მაჟორიტარი დეპუტატები მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ, თუმცა განსხვავებული აზრის მიუხედავად, კომპრომისზე წავიდნენ და 2024 წლისთვის პროპორციული სისტემის შემოღებას დათანხმდნენ. პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება – რეგიონების განვითარებისთვის" თავმჯდომარე კახა ოქრიაშვილის თქმით, მაჟორიტარული ან შერეული სისტემა მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. სრულად მაჟორიტარული სისტემაა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბრიტანეთში, საფრანგეთში და ა.შ. გამოდის, რომ მარტო საქართველოა ისეთი ქვეყანა, რომელსაც მაჟორიტარები აზარალებენ. მე პირიქით ვფიქრობ, რომ პროპორციული სისტემა დააზიანებს ქვეყანას, ვერც ერთი პარტია 50%-იან მანდატს ვერ მოიპოვებს. გამარჯვებულ პარტიას ექნება 25–30%, რაც იქნება მყიფე კოალიციური 4 პარტიისგან შემდგარი ხელისუფლებები. როგორც დასავლური პრაქტიკა გვიჩვენებს, ასეთი ხელისუფლებები პირველივე წინააღმდეგობისას იშლებიან და პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი ყალიბდება. ჩემი აზრით, შერეული სისტემა დღეს საქართველოსთვის საუკეთესოა და მომავალში თუ სრულად მაჟორიტარულ სისტემაზე გადავალთ, უკეთესი იქნება. რადგან პარლამენტში შემთხვევითი ხალხი არ მოხვდება. ლეგიტიმაცია მაჟორიტარულ სისტემას უფრო აქვს. – განაცხადა ოქრიაშვილმა.



საინტერესოა, თუ მაჟორიტარული სისტემა ამერიკაში, საფრანგეთში, ინგლისაა და კიდევ ასზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს, რატომ შეაშფოთა ვენეციის კომისიის პატივცემული პრეზიდენტი პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე 2024 წელს გადასვლის პერსპექტივამ, რატომ ხატავს აპოკალიპტურ სურათს საქართველოს მომავალთან დაკავშირებით და რა არის ის პოლიტიკური აქტი, რომელზეც საქართველოს პრემიერ მინისტრმა გააკეთა მინიშნება?

ამასთან დაკავშირებით, ბოლო დღეებში, მედიაში საინტერესო ვერსიები და მოსაზრებები გამოითქვა. კერძოდ, გაიხსენეს, რომ 2010 წელს ნაციონალურმა მოძრაობამ კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნის გამოქვეყნებამდე მიიღო, თუმცა ცნობილი იყო კომისიის შუალედური დასკვნა, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა პროექტს და დიდი ალბათობით, საბოლოო დასკვნა უარყოფითი იქნებოდა. 2010 წლის კონსტიტუციის ცვლილებით, სააკაშვილმა „ორვადიანი" პრეზიდენტობის ნაცვლად, „უვადო" პრემიერობისთვის თადარიგი დაიჭირა. რეალურად, 2010 წელს სააკაშვილის მიზნებზე მორგებული კონსტიტუციით შეიქმნა არა საპარლამენტო, არამედ დარჩა იგივე საპრეზიდენტო რესპუბლიკა, ოღონდ ერთი ცვლილებით – შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მმართველს პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ მინისტრი ეწოდა. კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში იხსენებს, რომ „მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ ვენეციის კომისიას სრულიად სხვა ტექსტი გაუგზავნა, მაგრამ მიღებული იყო აბსოლუტურად სხვა დასკვნა."




რატომ „ჩაყლაპა" ვენეციის კომისიამ 2010 წელს სააკაშვილის „ცუღლუტობა" და რატომ არ გაუჩნდა მაშინ ბატონ ბუკიკიოს იმედგაცრუების გრძნობა? როგორც ვარაუდობენ, ეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ლამაზი თვალების გამო არ მომხდარა და 2004 წლის თებერვალს იხსენებენ, როცა სააკაშვილმა საქართველოში ვიზიტად მყოფი ჯანი ბუკიკიო „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა. სხვათა შორის, 2013 წელს, სანამ პრეზიდენტის სავარძელს დაემშვიდობებოდა, სააკაშვილმა, როგორც ნამდვილ მეგობარს შეეფერება, ჯანი ბუკიკიოს ყვარელში, საკუთარ სახლში უმასპინძლა. რა დგას ამ შეხვედრების მიღმა არავინ იცის, მაგრამ როცა ევროსაბჭოს წარმომადგენელი იმის გამო ტეხს განგაშს, რაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიღებული ნორმაა, ეჭვებს და ვაუდებს ყოველთვის ექნება ადგილი.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ მაჟორიტარული ყველაზე ძველი საარჩევნო სისტემაა.მისი სახელი ფრანგული სიტყვისგან მაჯორ მომდინარეობს, რაც უმრავლესობას ნიშნავს. მაჟორიტარული სისტემის გამოყენებისას, დეპუტატის მანდატებს მიიღებენ მხოლოდ ის კანდიდატები, რომლებმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა მიიღეს. რაც შეეხება საარჩევნო სისტემების გამოყენების გეოგრაფიას: 2005 წლისთვის მსოფლიოს 199 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან, სადაც არჩევნები ტარდება, 91-ში საკანონმდებლო ორგანოს ასარჩევად გამოიყენებოდა მაჟორიტარული ტიპის სისტემები, 72 ქვეყანაში – პროპორციული წარმომადგენლობითი სისტემები, 30-ში კი შერეული სისტემები. შესაბამისად, მაჟორიტარული წესი სრულიადაც არ ნიშნავს არადემოკრატიულობას და არც ისეთი ცუდიაა, როგორც ქართული პოლიტიკური სპექტრიდან ვიღაც-ვიღაცეები წარმოდგენენ.

ქართული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა შფოთვა გასაგებია, რადგან ფიქრობენ, რომ მაჟორიტარული სისტემის პირობებში, საკუთარი კანდიდატების გაყვანას ვერ შეძლებენ და ურჩევნიათ, სხვადასხვა პარტიებს შეეკედლონ ან პროპორციული სიით „გაძვრნენ", მაგრამ გაუგებარია, რატომ აღელვებს ბუკიკიოს მოხვდებიან თუ არა მომავალ პარლამენტში 1% და 2%-იანი პარტიების წარმომადგენლები? გამოდის, რომ ის ობიექტური და მიუკერძოებელი არბიტრი კი არა, ოპოზიციურ პარტიებად წოდებული ადამიანთა მცირე ჯგუფების მოკავშირეა. ვენეციის კომისიის პრეზიდენტი დიალოგისა და კონსესუსის აუცილებლობაზესაუბრობს, თუმცა იმაზე აღარაფერს ამბობს, რომ 200-ზე მეტ პოლიტიკურ პარტიასთან კონსესუსის მიღწევის მცდელობაში შეიძლება, საერთოდ უკონსტიტუციოდ დავრჩეთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

# მეორე მსოფლიო ომი ხუთ წელიწადში დამთავრდა, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება კი 24 წელია გრძელდება

*გვესაუბრება, იურისტი ზურაბ თოდუა, აფხაზეთის იუსტიციის მინისტრის მოადგილე 1992–93 წლებში:*

**— ბატონო ზურაბ, 24 წელია ქართველებსა და აფხაზებს შორის დაწყებული კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელია. ამასობაში, რუსეთმა უკვე აღიარა მისი დამოუკიდებლობა. თქვენი აზრით, რა მოვლენები უძღოდა ყოველივეს წინ?**

— ახლახან, ერთი დოკუმენტი გამოქვეყნდა, საიდანაც ირკვევა,რომ 1948 წელს მთელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უმაღლესი განათლების მქონე მხოლოდ ერთადერთი აფხაზი იყო, სამი კი თბილისში გაუგზავნიათ განათლების მისაღებად, მაგრამ შედეგი ვერ დადგა. „ეს მდგომარეობა შემაშფოთებელია, მინდა, აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები სამსახურებში დავაწინაუროთ, მაგრამ მათ ხელის მოწერაც კი არ იციან" — აღნიშნულია წერილში. წერილის მერე მოსკოვმა სერიოზული ფიქრი დაიწყო იმაზე, რომ ქართული ინტელიგენციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინაშე განათლებული სეპარატისტული განწყობის ერი ეშვა, რომელსაც თავად აფხაზი დაარქვა. ამის მერე ამ ეროვნების წარმომადგენლებისთვის სასწავლებლებში შეღავათები დაწესდა, კერძოდ, მათ აძლევდნენ ლიმიტებს, ღებულობდნენ უგამოცდოდ და თითქოს აფხაზური განათლებული „ინტელიგენცია" შექმნეს, რომლებმაც შემდეგ, თანამდებობებისთვის დაიწყეს ბრძოლა და 60-იან წლებში, აფხაზეთში, ფაქტობრივად, პირველ პირებად მოგვევლინენ.

60-იან წლებში გამოყოფის პირველი მცდელობა იყო. ეს გეგმა რუსეთს ჩაუვარდა. 70-იან წლებში ენის დაცვისას ასევე, იყო მცდელობა და ესეც ჩავარდა. 80-იან წლებში, ჩემი თაობის აფხაზებთან ისეთი ურთიერთობა გვქონდა, რომ მათ არასოდეს დაუყვიათ აფხაზი, ქართველი, მეგრელი და ა.შ. დღეს, სწორედ, ჩემი თაობის აფხაზები არიან აფხაზეთის სათავეში. მაგალითად, ხაჯიმბა და მე ხუთი წელი ერთად ვსწავლობდით. არ მახსოვს მას ერთხელ მაინც ეთქვას: შენ მეგრელი ხარ, მე აფხაზიო. სწორედ ამის შეეშინდა მაშინდელ საბჭოთა იმპერიას — აფხაზეთი საბოლოოდ არ დაეკარგა. რუსეთისთვის აფხაზეთის დაკარგვა ნიშნავს მთლიანად კონტროლის დაკარგვას კავკასიაზე. რუსეთისთვის კავკასიაში ჩეჩნეთზე უფრო სტრატეგიული მდებარეობა აფხაზეთს აქვს, რამეთუ ასე საქართველოს აკონტროლებს. ეს რუსეთის სტრატეგიააა და ამ გეგმის ნაწილი იყო, ის რაც აფხაზეთში დატრიალდა. 80–იან წლებში შეიქმნა ორგანიზაცია „აიდგილარა", სადაც გაწევრიანებულ ადამიანებს უთხრეს, რომ ქართველები მათი მტრები, ოკუპანტები, აფხაზების სისხლის მსმელები არიან, ისინი ქართველი ერის წინაალმდეგ განაწყვეს. მაშინ საქართველოში ეროვნული მოძრაობაც ზენიტში იყო, რისიც რუსეთს შეეშინდა და „აიდგილარა" სწორედ ამის საპირწონედ შეუქმნა. ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდა, რომ აფხაზი მეგობრები რომლებიც აფხაზებს და ქართველებს ერთმანეთისგან არ არჩევდნენ, ამ ორგანიზაციაში აღმოჩდნენ.



**— ბატონო ზურაბ, ხშირად გვესმის, რომ ომი ქართველებმა დავიწყეთ. თქვენ მაშინ მნიშვნელოვანი თანამდებობა გეკავათ. როგორია თქვენი მოსაზრება?**

— ქართველებს ვერაფრით გავამტყუნებ. სიცრუეა როცა გვაბრალებენ, თითქოს, აფხაზეთში საომარი მოქმედებები ჩვენ დავიწყეთ. მინდა გითხრათ, რომ საომარი მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტომდე გაცილებით ადრე დაიწყო, ვგულისხმობ, არძინბას ხელისუფლების ქმედებებს ქართველების მიმართ — იქმნებოდა სამხედრო ფორმირებები, ხდებოდა მათი შეიარაღება, მასმედიის საშუალებებით ქართველებს პარაშუტისტებად მოიხსენიებდნენ, დაიწყო ტოპონიმების დამახინჯება, ასევე, ქართველების მასობრივი შევიწროვება. მაშინ საქართველოში შევარდნაძის უკანონო ხელისუფლება იყო. უკანონო ხელისუფლება და სამართლიანობა ცოტა სხვადასხვა კატეგორიებია. მას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძვლები თავისი სახელმწიფო და მოქალაქეები დაეცვა. სწორედ იმ პერიოდში 14 აგვისტოს მოხდა ომის პროვოცირება. ომის შემდგომ პერიოდში ქვეყანას ერთბაშად 300 ათასი დევნილი გაუჩნდა და სამწუხაროდ არც იმჟამინდელმა, არც შემდგომმა და არც დღევანდელმა ხელისუფლებამ, პირდაპირ ვიტყვი, არაფერი გააკეთეს, რათა აფხაზეთში იურისდიქციის აღდგენა განხორციელებულიყო.



**— ბატონო ზურაბ, რა აზრის ხართ მაშინდელ საბჭოზე, რომელშიც 28 აფხაზი, 26 ქართველი და 11 სხვა ეროვნების პირი იყო. მაშინ როცა ქართველები მოსახლეობის 47%-ს შეადგენდნენ, აფხაზები კი 17%-ს?**

— ეს არ არის სამართლიანი, მაგრამ იმ პერიოდში ეს იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინ ომის ზღვარზე ვიყავით. ეს საერთო რომ არ გამოგვეძებნა გამორიცხული არაა, რომ 1992 წელი უფრო ადრე დამდგარიყო. მით უფრო, ეს საქართველოსთვის და იქაური ქართული იურისდიქციისთვის არც ისე წამგებიანი იყო, რაც შედეგებმაც აჩვენა. აფხაზები შემდგომ ამ ფორმულას თვითონ გმობდნენ, რამეთუ იმ 11 ნეიტრალურ პირში ქართული მენტალიტეტის ადამიანებიც იყვნენ ანუ, 26 ქართველის მხარდამჭერები. ამ საბჭომ წელიწადზე ცოტა მეტი იარსება, მერე გაიხლიჩა. უდიდესი შეცდომა იყო როდესაც აფხაზი და ქართველი პარლამენტარები აღარ შეიკრიბნენ იმ ორგანოში, რომელსაც გადაწყვეტილება უნდა მიეღო. აფხაზები თავიდან თვითონ დასთანხმდნენ 28–26–11-ის ფორმატს, შემდეგ ეს მათთვის წამგებიანი აღმოჩნდა. ანუ, დემოკრატიული გზით, ისინი, საქართველოსგან აფხაზეთის ჩამოცილებას ვერ ახერხებდნენ.

**— თუმცა უზენაეს საბჭოში შემავალი ქართველები მერე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ბოიკოტის ნიშნად საბჭოდან გამოვიდნენ. როგორ შეაფასებთ ქართველების ამ ნაბიჯს?**

— აი, ეს ძალიან მძიმე შეცდომა იყო. ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით საქართველოში კორუფცია ყვაოდა. კორუფციამ ეროვნული ნიშანი არ იცის. იქ, ქართველებიც და აფხაზებიც ისე კარგად იყვნენ კორუფციულ გარიგებაში ათქვეფილი, რომ მათ ჩვენი ეროვნული წარმომავლობა არ აინტერესებდათ. ასეთი ქართველები, რაოდენობრივად, აფხაზებს სჭარბობდნენ. საშიშროება დაემუქრა მათ ბიზნესს, იმ აწყობილ სისტემას, რასაც ისინი საარსებოდ იყენებდნენ. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტორმა უდიდესი როლი ითამაშა, როდესაც, ფაქტობრივად, მარტო ეროვნული კი არა, სხვა დაპირისპირებებიც დაიწყო. ხმამაღლა ვაცხადებ: ქართველები საბჭოდან არ უნდა გამოსულიყვნენ, ეს ქართული პოლიტიკის უდიდესი შეცდომა იყო.

**— ამ ყველაფერში ხომ არ ერია არა მარტო რუსეთის, არამედ შევარდნაძის ხელი?**

— საერთოდ შევარდნაძის გარეშე საქართველოში და კავკასიაშიც კი, არაფერი ხდებოდა. იგი, პირდაპირ, რუსეთის დასმული ხელისუფალი იყო. ეს დავის საგანი აღარ არის და ამაში თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება ვფიქრობ პოლიტიკური ჯანსაღი აზროვნება არ აქვს. შევარდნაძე რუსეთის ხელდასმული იყო და, ფაქტობრივად, აფხაზეთშიც რუსეთთან შეთანხმების გარეშე არაფერი ხდებოდა. ისევ ანჯაფარიძის ფილმს „მტერი ჩემი — ძმა ჩემი" გავიხსენებ. ვერ წარმოიდგენთ ნებისმიერმა ფრაზამ ჩემში როგორ გააღვიძა ის საშინელი პერიოდი. ქართველი კაცი მაშინ, როდესაც მეორე ქართველს კლავდნენ, მიწას ართმევდნენ, ოჯახს უხოცავდნენ, დასასვენებლად დადიოდა და ტურისტულ მარშუტებს არჩევდა. ასეთი რეკლამა იმიტომ გადიო-

10 გვ. →



# არც ვინმეს დახვრეტას ვითხოვ და არც ვინმეს სარზე გასმას, მაგრამ ქვეყნის მოღალატე ამ ფსევდოლიბერალებს პირის აბანო ნამდვილად მოუხდებოდა

***„ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციას, ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაციას, ერთსქესიანთა ქორწინების და ათასი სხვა სიბინძურის დაკანონებას, ჯორჯ სოროსი და მისი ფონდი ლობირებს“, აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.***

— ქვეყანაში, სადაც კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა, როგორ შეიძლება „მარიხუანას“ ლეგალიზაცია მოხდეს, მით უმეტეს, თვითონ ექსპერტებიც ამბობენ, რომ „მარიხუანადან“ ძლიერ ნარკოტიკებამდე ერთი ნაბიჯია, კიდევ ეს უნდა გადაშენების პირას მყოფ ერს?! ძიძიგურის გარდა ბევრი ფიქრობს ასე, კარგია, რომ ხელისუფლებაში არის ჯანსაღი



ძალა, მაგრამ ამ დალოცვილებს მანამდე ამოეღოთ ხმა, სანამ ამ მოღალატეობრივი მოთხოვნების ღიად დაყენებას გაბედავდა ვინმე. თანაც ამ „ნოვატორებს“ მარტო ლეგალიზაცია-დეკრიმინალიზაციაზე კი არა, „მარიხუანას“ მოყვანის დაკანონებაზეც აქვთ პრეტენზია. ჯერ კანონი არ მიუღიათ და ჩემი ინფორმაციით, რეგიონებში უკვე დაიწყეს ამ ნარკოტიკის თესვა, ცხადია, 500-ლარიანი ჯარიმა მათ ვერ შეაჩერებთ. დამღუპველია ლოგიკა, ხალხს რაც უნდა ის გააკეთოსო, რადგან ამგვარი მიდგომა ჩვენს გენოფონდს გაანადგურებს, მომავალი თაობის მოსპობას შევუწყობთ ხელს. ზუსტად ეს უნდათ ჩვენს მტრებს. ნაციონალების განაყარ „გირჩს“ სხვა პარტიებიც აყვნენ, მაგალითად, რესპუბლიკელები სასჯელის საერთოდ გაუქმებას ითხოვენ, ამნისტია გამოვუშვათ და ყველა მსჯავრდებული გავათავისუფლოთო. ნარკოტიკების მოხმარების თვითდინებაზე მიშვებამ, 90-იან წლებში უმძიმესი შედეგი მოგვიტანა, ომში არ დაღუპულა იმდენი ხალხი, რამდენიც ნარკოტიკებმა გაანადგურა, ამდენი ნარკომანი სწორედ იმ პერიოდიდან გვყავს. ნორმალურ ქვეყანაში ასეთი სულგაყიდული პარტიები აკრძალული იქნებოდა. თუ ამ ყველაფრის დაკანონება მოხდა, მთელი კავკასია, ვგულისხმობ ჩრდილო კავკასიასაც, ირანი, თურქეთი, არაბული სამყაროს ქვეყნები საქართველოში ჩამოვლენ „საკაიფოდ“, გაიხსნება სპეციალური ბარები და ჩვენი ქვეყანაც ისეთივე ნარკოტიკების მოხმარების ადგილად იქცევა, როგორიც ჰოლანდიაა. ვიმეორებ, ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია-ლეგალიზება, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სოროსის იდეოლოგიის ნაწილია და შედეგსაც აღწევენ, ახლახანს გერმანიაში დაკანონდა ერსქესიანთა ქორწინება, მართლმადიდებელი სერბეთის პრემიერმინისტრი ლესბოსელი გახდა, ლუქსემბურგის პირველი პირიც ოფიციალური ჰომოსექსუალია. თუ საქართველოშიც გაგრძელდა ეს პოლიტიკა, გარყვნეს მომავალი თაობა ამ იდეებითა და ნარკოტიკებით, მალე შეიძლება აქაც გვყავდეს ხელისუფლების სათავეში სექსუალი უმცირესობის წარმომადგენელი. ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით მოწყობილი აქციაც ძალზე ორგანიზებულად ჩატარდა, კოკისპირულ წვიმაში გამოვიდა ხალხი, ეჭვი არ მეპარება, რომ ეს აქციაც სოროსის დაფინანსებული იყო. ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისებასთან დაკავშირებით, ოცი კაცი ძლივს იკრიბება აქციაზე და როგორ დავიჯერო, რომ „მარიხუანას“ დაკანონების მოთხოვნით იქ ამდენი ხალხი მივიდა დაფინანსების გარეშე. ევროპისკენ სწრაფვა იდეა-ფიქსად რომ ექცათ მავანთ, აღარ არის ეს ის ევროპა, ხომ ხედავთ, სოდომ-გომორის ოფიციალურად დაკანონება ხდება. ევროპაში კი არის დემოკრატიული ღირებულებები, მაგრამ იქ ძალიან ბევრი ცუდიცაა, მე პირადად ნამდვილად არ მინდა ისეთი ევროპა, სადაც ერთსქესიანთა ქორწინება და „მარიხუანის“ დეკრიმინალიზაცია ნორმალურ მოვლენად ითვლება. თავად ფრანგები აღიარებენ, რომ ფრანგი ერი მოკვდა. ერზე, რომელიც მაკრონს აირჩევს პრეზიდენტად, რა უნდა ვთქვათ, მე მის პირად ცხოვრებას არ ვეხები, მაგრამ კაცი, რომელიც ფრანგ ხალხს შეურაცხყოფას აყენებს, ამბობს კულტურა არ გვაქვსო, რანაირად შეიძლება პრეზიდენტად აირჩიო. ევროპაში მართლაც კვდება ერები, განსაკუთრებით იმ ქვეყნებს ერჩიან, რომლებიც ყოველთვის ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემით გამოირჩეოდა, გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას. გერმანია საერთოდ გადათელეს, ქალაქ ფრანკფურტში ემიგრანტები სჭარბობენ გერმანელებს, პარიზშიც ასეა, ლამის მთელი საფრანგეთი გაამუსულმანეს. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც, მალე ევროპაში მუსლიმები იქნებიან უმრავლესობაში. ჩვენთვის ყველაზე დიდი საფრთხე ზუსტად ეს არის, ასეთი ევროპისკენ არ არის ჩვენი გზა, ჩვენი გზა ტრადიციებისა და ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებაა. თუ ასე გაგრძელდა, 20 წელიც კი არ დაჭირდება ისე შეიცვლება საქართველოში ყველაფერი, სამმილიონიანი ერის გაქრობა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს.



**— ქართული მიწების უცხოელებზე მასობრივი გასხვისების მოთხოვნა, რასაც აუცილებლად მოყვება უცხოელების საქართველოში მიგრაცია და ნარკოპოლიტიკის შემსუბუქების მოთხოვნა ერთმანეთს ხომ არ უკავშირდება?**

— რა თქმა უნდა მიწების გასხვისება და ნარკოპოლიტიკა ერთმანეთთან კავშირშია, კაცმა არ იცის ეს უცხოელები ქართულ მიწაზე რას მოიყვანენ. ან რა გარანტია გვაქვს, რომ არ მოხსნიან მიწის ნაყოფიერ ფენას და საზღვარგარეთ არ გაიტანენ. ეს ფენა თუ მოიხსნება, მერე 50–60 წელი იმ მიწაზე აღარაფერი მოვა. ქართულ მიწა ჩალის ფასი რომ დაადეს, იმიტომაც ვდგავართ ასეთი საფრთხის წინაშე. გარდა ამისა, სწრაფად გაჩნდება უცხოელთა დასახლებები, წინა საუკუნეში კახეთის ერთ-ერთ სოფელში ორი აზერბაიჯანელი მწყემსი ჩაიყვანეს და დღეს ყველაზე დიდი აზერბაიჯანული სოფელია. მუსულმანები იმიტომაც მრავლდებიან სწრაფად, რომ მათი რელიგიით მრავალცოლიანობა დასაშვებია, კაცს ხუთი ცოლი რომ ეყოლება, თითოეული 3–4 შვილს მაინც გაუჩენს, თანაც მათ ფსევდოლიბერალური აზროვნება კი არ აქვთ, მტკიცე რწმენის ხალხია. სოროსისა და მისი დაფრთიანებული პოლიტიკოს-უფლებადამცველების პოლიტიკას წინ უნდა აღვუდგეთ, რადგან ნარკოტიკების ლეგალიზება და მიწის უცხოელებზე გასხვისება, ქართველი ერის განადგურებას ნიშნავს. მარტო გარდაბნის რაიონზე კი არა, მცხეთაზეც არის საუბარი, რომ იქ უცხოელთა დასახლებები გაშენდეს, თურმე ქართველები მიწას არ ამუშავებენ, მთავრობის მხარდაჭერა თუ არ ექნათ, როგორ დაამუშაონ? ყველა იმ უცხოელის უკან, რომელიც საქართველოში ჩამოდის, მათი სახელმწიფო დგას, იქიდან იღებენ დაფინანსებას. ჩვენთან კი რა გახდა თუნდაც დაბალპროცენტიანი სესხის გაცემა მოსახლეობაზე, „ქართული ოცნების“ საარჩევნო დაპირება არ იყო, თითო მილიონი თითო სოფელსო. ეს თანხები რომ გამოიყოს, ყველა პრობლემა მოგვარდება და აყვავდება სოფლის მეურნეობა. გინდაც არ ამუშავებდეს ჩვენი ხალხი, იყოს ისე ის მიწა და იყოს ქართული, რად მინდა ისეთი ქვეყანა, სადაც 90% სხვა ერის წარმომადგენელი იცხოვრებს, ის ხომ საქართველო აღარ იქნება?!

ამ ფსევდოლიბერალ-პატრიოტების გამოსწორების შანსი არ არსებობს, ამიტომ მათ მიმართ უმკაცრესი პოლიტიკა უნდა

10 გვ.



# ეს არის პოლიტიკური ვამპირიზმი, ანუ სხვის სხეულში ჩასახლება და ქართველი ერის სულიერი მისიის წართმევის მცდელობა



## გვესაუბრება პროფესორი **დენიზა სუმბაძე**

**— ქალბატონო დენიზა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტმა თქვენთან კონტრაქტი გააუქმა, რასაც შემდეგ თქვენს მორიგ სამეცნიერო-საზოგადოებრივ სხდომაზე არასახარბიელო ინციდენტი მოჰყვა. რა ხდება, კონკრეტულად, მოგვიყევით.**

— დიდი მადლობა, რომ დაინტერესდით ამ პრობლემით. მე, ფაქტობრივად, ბრძოლაში ვიმყოფები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან. მათ შემიჩერეს კონტრაქტი და შემიწყვიტეს ხელფასი, მაშინ როდესაც ჩემი სამწლიანი შრომა წიგნად ჩამოყალიბდა და დაიწყო საგამომცემლო პროცედურა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფაქტობრივად, შემიწყვიტეს საარსებო მინიმუმი, რაც ჩემი, როგორც მეცნიერის და როგორც ადამიანის უფლების უხეში დარღვევაა.

**— რა „დააშავეთ“ ასეთი, ქალბატონო დენიზა?**

— როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, კონტრაქტის შეწყვეტის მიზეზი გახდა ის, რომ სამი წლის განმავლობაში მე მომიხდა მუშაობა ისეთ თემებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნის რეალობაში უმძაფრესი გამოწვევაა და ითვალისწინებს ბაგრატიონების წარმომავლობის კვლევას.

ჩემი არეოპაგიტული ცენტრის კვლევით, ბაგრატიონების ქართველობის დადასტურების პრობლემა უშუალოდ არეოპაგიტული ცენტრის კვლევის საგანი გახლავთ, რადგან იბერობის, ანუ „ქართველობის“ ფენომენის კვლევა არეოპაგიტული ცენტრის ძირითადი მიმართულებაა.

რას წარმოადგენს თავად პეტრე იბერის წოდება — იბერობა. ვინ არის იბერიელი ხალხი, შეეძლო ამ ხალხს მე-5 ს-ში მსოფლიოსთვის მიეცა ამხელა სულიერი ერუდიციის ადამიანი, კაცი, რომელიც შუა საუკუნეების ევროპას და მთელ მაშინდელ საეკლესიო სივრცეს გაუძღვებოდა წინ? როდესაც მე მივუბრუნდი იბერობის თემას, ეს გაცილებით რთული და ფართო თემა აღმოჩნდა, ვიდრე თავად **პეტრე იბერის** თხზულებების ავტორობის საკითხი.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ იბერობის საკითხი და ბაგრატიონების წარმომავლობის საკითხი პირდაპირ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, თუმცა ეს საკითხი სრულიად ტაბუდადებულია. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ყოველივე ამას ხელს ებრაული მხარე უშლის.

მეტი სიცხადისთვის კვლავ პეტრე იბერს მივუბრუნდები.

გარდა იმისა, რომ პეტრე იბერი უფლისწული გახლავთ, ხოლო ბაგრატიონები ისტორიოგრაფიაში ფარნავაზიანებად არიან აღიარებულნი, ამ საკითხის ფუნდამენტური კვლევა დღეს განსაზღვრავს ჩვენი ერის სახელმწიფოებრივ პერსპექტივას და მისი ინდივიდუალური ფენომენის არსებობას. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი დღევანდელ საქართველოში.

სამი წლის განმავლობაში ამაზე ვმუშაობდი და არავითარი პრობლემა უნივერსიტეტის მხრიდან არ მიგრძვნია, მაგრამ ახლა, როცა უკვე დავამთავრე კვლევა და წიგნად უნდა გამოვიდეს ეს ნაშრომი. აღმოჩნდა, რომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მე არ მქონია უფლება ბაგრატიონების წარმომავლობის საკითხი მეკვლია. კონტრაქტიც შემიწყვიტეს, რათა ჩემს კვლევას არ მიეცეს გასაჯაროების შესაძლებლობა უნივერსიტეტის სტატუსით.

ბაგრატიონების დაკავშირება დავით წინასწარმეტყველთან, ეკუთვნის **გრიგოლ ხანძთელს** და აღნიშნულია წიგნში, რომელიც გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ დაიწერა უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეებისგან ჩაწერილ ინფორმაციებზე დაყრდნობით. გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები არიან ყველაზე ნამდვილი წყაროები. მისი ცხოვრება დაწერილია თავისი დროის ყველაზე მცოდნე და პროფესიონალი იურისტის, დღევანდელ ენაზე რომ ვთქვათ, ეკლესიის იურისპრუდენციის მაღალიკვალიფიციური სპეციალისტის **გიორგი მერჩულეს** მიერ. მას ზედმიწევნით აქვს დაზუსტებული საქართველოს მეფის **აშოტ დიდი კურაპალატის** წოდება, რომელიც დიდ ბაგრატიონად არის მოხსენიებული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და იქ ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ დავით წინასწარმეტყველის შვილობა არის მეფის წოდებულობა და არა ხორციელი შთამომავლობა.

სიტყვასიტყვით ასე მიმართავს გრიგოლ ხანძთელი აშოტ კურაპალატს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“. ეს წოდებულობა არის თვითონ გრიგოლ ხანძთელის მიერ შექმნილი იდეა. ეს გახლავთ პირველი და მთავარი წყარო ბაგრატიონთა დავითიანობის გაგებისა.

შესაძლოა, მონასტრულ სივრცეში იყო საუბრები, როგორ დაეკავშირებინათ საქართველოს მეფის ტიტული დავით წინასწარმეტყველთან. რადგან ეს ტიტული მიზანმიმართული იყო და გამომდინარეობდა საქართველოს, ქართველი ერის სულიერი მისიიდან, რომელიც უნდა მიეკუთვნებინათ ქართველი ერის პიროვნული წარმომადგენლისთვის, ანუ იმ ერთი ადამიანისთვის, რომელიც ნიშნავდა ქართველ ერს და ეს იყო საქართველოს მეფე.

ამის შესახებ მე ადრეც ვწერდი ჩემს წიგნში „გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ.“

ხანძთის მონასტერი, სადაც გრიგოლი მოღვაწეობდა, არ არის უბრალო მონასტერი, ის არის უმნიშვნელოვანესი ადგილი ეროვნული თვითშემეცნების თვალსაზრისით. ის ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც, ებრაელი ხალხისთვის სინას მთა, სადაც გამოცხადება უნდა მიიღოს მოსემ და ნიშანდობლივია, რომ თვითონ გრიგოლ ხანძთელიც მოხსენიებული არის გიორგი მერჩულეს მიერ, როგორც თავისი სულიერი გასხივოსნებით, მოსე წინასწარმეტყველთან მიმსგავსებული. ასეც ეწოდებოდა სავანეს: ქართველთა სინაი“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე იყო გადაწყვეტილი, რომ ბაგრატოვანთა ებრაელობა, ეს იყო ლეგენდად და თქმულებად ქცეული ვერსია.

დავითიანობა რომ წოდება იყო, **ივანე ჯავახიშვილმა** ეს თავის ნაშრომებში დაადასტურა, თუმცა კვლევას უფრო სიღრმისეული ხასიათი არ ჰქონია, რადგან, როცა ქართული მეცნიერება ამ საკითხს იკვლევდა, მე-20 საუკუნე იდგა და საქართველოს მეფეთა დავითიანობა არავითარ აქტუალურ პრობლემას არ წარმოადგენდა.

მეორე წყარო, ეს არის ბიზანტიის იმპერატორის, **კონსტანტინე პორფიროგენეტის** ცნობა, სადაც ის პირდაპირ მიუთითებს: საქართველოში თვლიან, რომ ბაგრატიონები არიან დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებიო.

გიორგი მერჩულე ამბობს, რომ „დავითიანობა“ წოდებულობაა, ხოლო პორფიროგენეტი აცხადებს, რომ არის შთამომავლობა. რატომ? იმიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება დაწერილია 950 წელს, პორფიროგენეტის ჩანაწერები კი გაკეთებულია გიორგი მერჩულეს მიერ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დაწერამდე, გიორგი მერჩულეს ინფორმაციის გარეშე, თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ დაიწერა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება თავად ხანძთელის გარდაცვალებიდან. მანამდე მის შესახებ ინფორმაციები ვრცელდებოდა ზეპირად. პორფიროგენეტის ჩანაწერი არის ასახვა ზეპირად გავრცელებული ვერსიისა. გიორგი მერჩულეს მიერ დაწერილი თხზულება კი გახლავთ ნამდვილი იურიდიული დოკუმენტი.

მოგეხსენებათ, მაშინ იმდენი საშუალებაც არ იყო, რამდენიმე ვარიანტი გადაეწერათ, ამიტომ როგორც ჩანს, ერთადერთი ვარიანტი, რომელიც მოწესრიგებული და დახვეწილი იყო, აღმოჩნდა წაღებული იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერში.

X-დან XIX საუკუნემდე საქართველომ დოკუმენტურად არაფერი იცის გიორგი მერჩულეს დაწერილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების შესახებ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებსიო შესახებ იცის მხოლოდ ზეპირი გადმოცემით ისევე, როგორც თვითონ კონსტანტინე პორფიროგენეტმა იცის ზეპირად გავრცელებული ინფორმაციების ჩანაწერებით.

1902 წელს **ნიკო მარმა** ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკაში მიაკვლია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ხელნაწერს და საქართველოში ჩამოიტანა.

მანამდე ქართულმა რეალობამ, არც ბაგრატიონებმა და არც არავინ, არაფერი იცოდა არც ამ ნაწარმოების და არც ბაგრატოვანთა ნამდვილი გენეტიკური წარმომავლობის შესახებ.

1911 წელს გრ. ხანძთელის ცხოვრება პირველად გამოიცა.

ამის შემდეგ დაიწყო ნაწარმოების მეცნიერული კვლევა და მიმაჩნია, რომ ამ ინფორმაციით დაიწყო ახალი ქართული ეროვნული თვითშემეცნება.

**— ყველაფრის მიუხედავად, ქართველ მეფეთა სემიტური წარმომავლობის შესახებ მითი თუ რეალობა დღემდე საამაყოდ არის მიჩნეული. რატომ?**

— ჩემი აზრით, ამაში ამაში გადამწყვეტი იყო მათეს სახარების ფორმულა: „იესო ქრისტე, ძე დავითისა“, ანუ დავით წინასწარმეტყველის გაგება „მამად ღმერთისა“. ე.ი. სახარებაში იესო ქრისტეს მამად, ანუ ღვთის ხორციელ მშობლად მოხსენიებული დავით წინასწარმეტყველის შთამომავლობა ხდება საგანი ქართველი მეფეების სიამაყისა და თავმოწონებისა. აქ იესო ქრისტეა გადამწყვეტი მუხტის შემომტანი. ჩვენ ვართ ქრისტეს ქვეყანა, ჩვენს მეფეთა სამეფო ტიტული ეს არის მახვილი მესიისა და ეამაყებათ იესო ქრისტეს მამის შთამომავლობა, ყოველგვარი თეოლოგიური ჩაღრმავების გარეშე.

დავით წინასწარმეტყველის ძეობა, ეს არის განკაცებული ღმერთის იესო ქრისტეს, შეიძლება ითქვას, იურიდიული ტიტული და სჭირდება იმ რეალობას, რომელმაც უნდა აღიაროს ქრისტე მესიად.

დავით წინასწარმეტყევლთან დაკავშირება ქართველ ერს ისევე სჭირდებოდა, როგორც იესო ქრისტეს სჭირდებოდა დავით მეფესთან დაკავშირება ბიბლიური წინასწარმტყველების აღსრულების ნიშნებით. ის მისია, რომელიც იესოს ჰქონდა იუდეაში პიროვნულად, ჩვენს შემთხვევაში, კლარჯეთის სავანის ცნობიერებაში აქვს ქართველ ერს, ამიტომ ეს ტიტული დავითიანობისა სჭირდება ქართველ ერს, ერის განსახიერებას კი წარმოადგენს საქართველოს მეფე.

იმ პერიოდში არაბობაა საქართველოში, გაუქმებულია სამეფო ტახტი და პირველი, ვინც უნდა გამოცხადდეს მეფედ, ეს არის **აშოტ დიდი კურაპალატი**, დიდი ბაგრატიონი, რომელმაც უნდა მიიღოს დიდი სამეფო ტიტული. გრიგოლ ხანძთელი აქტიურად უდგას მხარში სამეფო ტახტის აღდგინების საქმეს.

თვით ქალბატონი **მარიამ ლორთქიფანიძეც** კი, რომელსაც არ ეძნელება თქვას, რომ ქართველი ბაგრატიონთა „დავითიანობა“ თეორიაა, თუმცა ამ თეორიას მეცნიერულად არ იკვლევს, არადა დღევანდელობა ქმნის ამ აუცილებლობას კვლევისას. რას წარმოადგენს შინაარსი ამ კვლევისა, რადგან საკითხი ასე დგას — როგორ არიან ებრაელები ბაგრატიონები, როდე-



საც დავითიანობა არის ტიტული?!.

ქალბატონი მარიამი ბრძანებს, რომ ქართველი და სომეხი ბაგრატიონები ერთი ძირისანი არიან. თუ ასეა, მაშინ სომეხი ბაგრატიონები რატომ არ არიან დავითიანები?

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ ქართველ ბაგრატიონთა დავითიანობა ქართულ ეროვნულ მისიასთან არის დაკავშირებული, ქართველი ერის საღმრთო მისიასთან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა სწორედ კლარჯეთის სავანეში.

— **თქვენს შევიწროვებას, უნივერსიტეტში კონტრაქტის შეჩერებას და უკანასკნელ სამეცნიერო სხდომებზე არასახარბიელო ინციდენტს ამ აღმოჩენას უკავშირებთ?**

— სწორი შენიშვნაა. დიახ, მე აღმოვჩნდი იზოლაციაში, რადგან ქართული მეცნიერული აზრი იგნორირებული აღმოჩნდა ბაგრატიონთა გაგების საკითხში, იგნორირებული აღმოჩნდა ჩვენს დღევანდელ სახელმწიფოებრივ და ეკლესიურ სივრცეში.



— **მძიმე ბრალდებაა ქალბატონო დენიზა...**

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი სახელმწიფო არის პროებრაული, ანუ მასონურ-სიონისტური.

ეკლესია, სამწუხაროდ, არ დაინტერესებულა არც **ივანე ჯავახიშვილით**, არც **სიმონ ჯანაშიათი**, არც **პავლე ინგოროყვათი**, კაცით, რომელმაც მთელი ცხოვრება იკვლია გიორგი მერჩულეს სამყარო.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წმინდანად აღიარებული ჩვენი დიდებული მეცნიერი **ექვთიმე თაყაიშვილი** ქართველი ბაგრატიონების ებრაელებად გამოცხადებაზე, ალბათ, საფლავში გადაბრუნდებოდა.

— **იქნებ ჩვენი ხელისუფლება და ეკლესიის საჭეთმპყრობელი სწორედაც რომ ბრძნულად არიან გაჩუმებულნი, რადგან, როგორც თქვენ განმარტეთ, ჩვენს სახელმწიფოს მსოფლიოს სიონისტურ-მასონური ძალები მართავენ და ჩათრევას ჩაყოლას ხომ არ ამჯობინებენ? იქნებ ჩვენი გადარჩენისთვის ასეა საჭირო?**

— უნდა გითხრათ, ამაზე ბევრი მიფიქრია, მაგრამ ვერ ვპოულობ დადებით პასუხს, რომ აუცილებელი იყოს ჩაყოლა ჩათრევის სანაცვლოდ.

ჯერ ერთი, სიონისტურ მოძრაობას ჩვენს წინააღმდეგ ისედაც აქვს გამართული ინფორმაციული ომი. საქართველოში არსებობს სიონისტურ-მონარქისტული მოძრაობა და ისინი დიდი ხანია იბრძვიან საქართველოს სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ანუ საქართველოს ისტორია სურთ მსოფლიოს გააცნონ, როგორც საუკუნეების განმავლობაში მართული დავითის შთამომავლების მიერ.

როგორ შეიძლება გაყალბებდნენ ისტორიას და ამას აჰყვე? რა დიპლომატია შეიძლება იყოს ეს?

— **ილაპარაკონ, ამით რა შეიძლება დაშავდეს, ბაგრატოვანთა ქართულ წარმოშობას ყალბი რიტორიკით ვინ და როგორ შეცვლის?**

— თქვენთან ინტერვიუში ადრე ვახსენე, ნიუ-იორკში გამოდის ქართული გაზეთი „დავითის ფარი“, სადაც ერთ-ერთი ქალბატონისგან აღებული ინტერვიუ დაბეჭდეს და დაწერეს ის, რაც ამ ქალბატონს საერთოდ არ უთქვამს. მერე აღმოვაჩინეთ, რომ ამ ქალბატონის საუბრის გაყალბება რედაქტორს მოუხდენია.

„დავითის ფარი“ არის ქართულ-ებრაული გაზეთი. ვითომ ის ქალბატონი ინტერვიუში წერდა: ებრაელი ერის მისია იყო ჩვენი ცივილიზაციის შექმნა. ებრაელი ერის მისია დღეს არის მიძინებული იბერიელი ერის წარმოჩენაო.

როგორ უნდა წარმოჩინდეს ქართველი ერი დღეს? ამის საპასუხოდ მთელი ქართული სულიერ-მატერიალური ლანდშაფტი აქვთ შესწავლილი. ეს არის ებრაელთა მცდელობა მთლიანად ჩაენაცვლონ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველ ხალხს. ებრაელები თვითონ აცხადებენ საკუთარ თავს იბერიელებად. აკეთებენ ქართველებისა და ებრაელების სისხლის ანალიზებს და აცხადებენ, რომ ქართული და ებრაული სისხლი ყველაზე ნათესაურია მსოფლიოში. საქმე იქამდე მიდის, რომ ამ ეთნოგენეტიკური ანალიზის ინიციატორი საპატრიარქოსთან არსებული უნივერსიტეტია. პროექტის დირექტორი გახლავთ თეოლოგიის დოქტორი, ბატონი **გიორგი ანდრიაძე**.

ჩვენ მხოლოდ ის უბედურება კი არ გვჭირს, რომ ჩვენი ბრწყინვალე მეფეები გამოვაცხადოთ ებრაელებად და ქართული სისხლი ვაღიაროთ ებრაულ სისხლად, აგრეთვე უნდა დავამტკიცოთ პროექტი მცხეთა-იერუსალიმი და ვინმე **იციკ შავითმა** მცხეთაში ისრაელის რეზიდენცია უნდა ააშენოს.

სად დარჩა საქართველო და ქართველი ერი?!!

რასაც ებრაელები აკეთებენ, ეს არის პოლიტიკური ვამპირიზმი, ანუ სხვის სხეულში ჩასახლება და ქართველი ერის სულიერი მისიის წართმევის მცდელობა. ებრაელები გვევლინებიან თურმე არა მხოლოდ სისხლით ნათესავებად, არამედ საქართველოში ქრისტიანობის მასწავლებლებადაც. ახალი თეორიებიც წამოაყენეს — ჩვენ ორი საუკუნით ადრე ჩამოვედით საქართველოში, როგორც მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიდნენ ქართველებს ვაჭრობას, ხელოსნობას, მეურნეობის მართვასო და ა. შ. როდესაც საპატრიარქო მხარს დაუჭერს საქართველოს ისტორიის გაყალბებას, თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ებრაელებად გამოცხადებას, მერე აღარაფერი რჩება ქართველებისთვის საკუთარი და საამაყო.

— **სამეცნიერო წრეებში მხარდამჭერები თუ გყავთ?**

— დიახ, არიან, თუმცა დღეს ჩემდამი მხარდაჭერა ნიშნავს სახელმწიფო იდეოლოგიის წინააღმდეგ წასვლას.

სახელმწიფო კი, როგორც მოწინააღმდეგე, არ ჩანს, მან აიფარა ეკლესია და ეკლესიაც, სახელმწიფოს მხარდამხარ გვებრძვის. სიმართლეს კი ერთადერთი მხარდამჭერი ჰყავს და ეს არის ქართველი ხალხი.

ეკლესია დუმს, იმ დროს, როცა ვალდებულია, შეაფასოს პროცესები. იგივე მდგომარეობაშია მეცნიერებათა აკადემია, რომელსაც ჰგონია, თუ სიმართლეს დაუჭერს მხარს, ეკლესიის წინააღმდეგი იქნება. ეს არ არის ეკლესიის წინააღმდეგ წასვლა, პირიქით, თუ გინდა პატრიარქი გადაარჩინო, თუ გინდა ეკლესია დაიცვა, თუ გინდა **გრიგოლ ხანძთელი და გიორგი მერჩულე** დაიცვა, **ივანე ჯავახიშვილი და პავლე ინგოროყვა** დაიცვა, პატრიარქს სწორი ინფორმაცია უნდა მიაწოდო.

— **ამ თამამი განცხადებების გამო ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი დევნა და შევიწროება კვლავ გაგრძელდეს?**

— არ გამოვრიცხავ.

ის, რაც მომიწყვეს მე უნივერსიტეტში, რაც დაბეჭდა ჩემს წინააღმდეგ გაზეთმა „რეზონანსმა“, ეს არის ყველაფრის კადრების ნიმუში. ეს არის იმის მიმანიშნებელი, რომ არც უნივერსიტეტს, არც ეკლესიას, არც სახელმწიფოს არ აინტერესებს სიმართლე და ჭეშმარიტება. გაზეთი რომ იმას დაწერს — უნივერსიტეტში ანტიდასავლური შინაარსის კონფერენცია გამართა დენიზა სუმბაძემ და რუსულ პროპაგანდას ახორციელებსო, რაზე უნდა ილაპარაკო. პრორუსული რა შუაშია, ჩემი ქვეყნის ისტორიის კვლევასთან, გამაგებინეთ. თუ შენი ქვეყნის ინტერესს იცავ, პრორუსი ხარ? ქართველი ერის ისტორიის დაცვა, საქართველოს დაცვა ანტისახელმწიფოებრივი და რუსული პროპაგანდის ნაწილი ყოფილა და როცა მავანი აცხადებს, ბაგრატოვანთა დინასტია არაქართული წარმოშობისააო, ეს ყოფილა სახელმწიფოებრივი მიდგომა. საოცარია, პირდაპირ.

ამ სიტუაციის პარალელურად გაჩნდა მოძრაობა „ქართული იდეა“. გავეცანი მათ და აღმოჩნდა, რომ ესენი არიან ზომბირებული, ინტელექტუალურად შეზღუდული ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მოქცეულნი არიან გარკვეული ძალების გავლენის ქვეშ და, რომ იტყვიან, დიდ გულზე არიან, რადგან, როგორც თვითონ აცხადებენ, მათ უკან დგას ეკლესია.

მე შევხვდი ამ მოძრაობის ლიდერს, ბატონ **ლევან ჩაჩუას**, რომელმაც განაცხადა, რომ ქართველი მეფეები არაქართული წარმოშობის არიან და ეს არ იცისო ქართველმა ხალხმა. ამით ლევან ჩაჩუამ ისიც გვითხრა, რომ ბაგრატიონთა წარმომავლობა არც ივანე ჯავახიშვილმა იცის, არც გრიგოლ ხანძთელმა და თვითონ იცის მარტო. როგორც თვითონ ამტკიცებს, ის კონსტიტუციური მონარქიის მხარდამჭერია და დასძენს: რადგან ოდითგანვე საქართველოს მთელი ქონება ეკუთვნოდა მეფეს, ახლაც, მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, საქართველო მეფეს, „დავით წინასწარმეტყველის შთამომავალს“, ანუ წარმოშობით ებრაელს გადაეცემა მთელი საქართველოს ქონებაო, ანუ მთელი ქვეყანა. კანონის მთელი პროცედურების დაცვით მიმდინარეობს მთელი საქართველოს გადაცემა ებრაელებისთვის, ამ დროს ქართველები ჩადიან ისრაელში ლუკმა-პურის საშოვნელად და უდიდეს დამცირებას იტანენ.

გარდა იმისა, რომ აბსოლუტურად ძირფესვიანად ვიძარცვებით, დაგვცინიან, ერის თავმოყვარეობის უფრო დიდი გათელვა და დამცირება არ არსებულა.

პატრიარქს სჭირდება მეტი ინფორმაცია ყველა საკითხზე, თუმცა გარკვეული ძალები, როგორც ვხედავ, ყველანაირად ცდილობენ, მიმდინარე პროცესებისგან იზოლირებული ჰყავდეთ პატრიარქი და საქართველოს ეკლესია საკუთარი თავის წინააღმდეგ წაიყვანონ.

**მეუფე ანანია (ჯაფარიძე)** წერს: ქართველი მემატიანეები და გრიგოლ ხანძთელი, ანუ უძველესი ქართული ეკლესია აღიარებს, რომ ბაგრატიონები ებრაული წარმოშობის, დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიანო.

მე ვამტკიცებ — გრიგოლ ხანძთელი ამას არსად არ აღიარებს!

არადა, მეუფე ანანია იძულებულია ასე წერდეს.

აი, აქედან გვჭირდება ჩვენ გათავისუფლება.

როგორც არაბების, მონღოლების უღლისგან გათავისუფლება იყო საჭირო, დღეს სიონიზმისგან გათავისუფლება არის ჩვენთვის აუცილებელი.

ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი ისტორია, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა. უნდა აიკრძალოს ეს შეურაცხმყოფელი ინფორმაციული ომი. დასაცავია — ენა, მამული, სარწმუნოება და ისტორია, ეს ოთხი რამ, როგორც თავიდანვე ამბობდა **ილია ჭავჭავაძე**.



საქართველოში უნდა დაიწყოს სრულიად ახალი ეროვნული თვითშემეცნება.

ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე დგას დღეს ქართული მეცნიერება. იგი დგას ეკლესიის და ქართველი ხალხის წინაშე, მან თავისი სიტყვა მსოფლიო ისტორიის წინაშე უნდა თქვას, რომ სრულიად არ დაინგრეს ზოგადქართული ცნობიერება.

— **ქალბატონო დენიზა, კვლავ მინდა მივუბრუნდე თქვენს სამეცნიერო სხდომას, რომელიც უნივერსიტეტში ახლახან ჩაატარეთ, რუსული პროპაგანდის ნიშნები საერთოდ არ გამოკვეთილა?**

— რას ლაპარაკობთ? ჩვენი სხდომის ძირითადი მიზანი იყო, გაგვერკვია, რაში მდგომარეობდა ჩვენი ქვეყნის ძირითადი განსაცდელი, რომ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი. სხდომა დავიწყე საქართველოს პატრიარქის ორი უმნიშვნელოვანესი განცხადების ანალიზით, რომლითაც საქართველოს მდგომარეობა უფრო დამძიმებულად უნდა აღვიქვათ, ვიდრე ეს მანამდე იყო გაცნობიერებული.

პირველი განაცხადით მისმა უწმინდესობამ მოუწოდა საქართველოს გადახვეწილ ემიგრანტებს — არ ჩამოხვიდეთ საქართველოშიო. იმის მიუხედავად, რომ 25 წელიწადია მოუხმობდა მათ, სამშობლოში დაბრუნდითო.

მეორე, პატრიარქმა უარი განაცხადა აღსაყდრების დღესასწაულის აღნიშვნაზე და ეს დღე გაუქმებულად გამოაცხადა. ამას რომ იტყვის პატრიარქი, რაღაც ძალიან დიდი რამე უნდა იყოს მომხდარი ამ განცხადების მიღმა.

სხდომაზე მე განვაცხადე, რომ, ეტყობა, პატრიარქს აქვს საფუძველი ამ ორი განცხადების გაკეთების და ამ ყველაფერს ანალიზი სჭირდება-მეთქი.

დავსვი საკითხი: როდესაც საქართველოში ქართულ ოჯახს რაიმე უბედურება დაატყდება თავს, ყველანი ვიკრიბებით, მივდივართ, რომ დავეხმაროთ, ნუგეში ვცეთ.

დღეს ჩვენი ქვეყანა, მთელი ქართველი ხალხი განსაცდელშია, მაგრამ არ ვასრულებთ ჩვენს ტრადიციულ რიტუალს. არ ვიყრით თავს ერთად. ჩემი აზრით, აუცილებელია, სახალხო სათათბიროს მსგავსი თავშეყრა. ეს უნივერსიტეტში უნდა მოხდეს, იქ უნდა შედედდეს ერის ინტელექტუალური პოტენციალი.

სხდომაზე წასაკითხად მიტანილი მქონდა წერილი **დონალდ ტრამპისადმი**, მაგრამ შეხვედრა ისე გაიწელა, წერილის წაკითხვა ვერ მოვასწარი. წერილში აშშ-ის პრეზიდენტს ვთხოვ, თანადგომა გამოუცხადოს ნიუ-იორკის ქართველოლოგიურ ცენტრს „ბიბლია და საქართველოს“, რადგან არც ეკლესიის და არც ჩემი სახელმწიფოს იმედი უკვე აღარ მაქვს. კარგი იქნება, თუ „საერთო გაზეთი“ ამ წერილს გამოაქვეყნებს.

**— შევეცდებით...**

**დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის.**

— კიდევ ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან: რაც არ უნდა მიუღებელი იყოს თქვენთვის ჩემი მოსაზრებები და შეფასებები, არაფერი შემიცვალოთ, არაფერი შემირბილოთ. ჩემს სიტყვებზე პასუხისმგებელი მე ვარ.

**— კეთილი...**

**კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. წარმატებებს გისურვებთ!**

**ირანდა კალანდაძე**

593 56 11 18

# „ადამიანი ბუნების შვილია და, თუ უნდა ადამიანად დარჩეს, ბუნების კანონებით უნდა იცხოვროს!“

## რომან რურუას ფილოსოფია



(დასაწყისი. იხ. „ს.გ“ N25)

### რუსეთი და საქართველო

**ჩემი განვლილი ცხოვრება და გამოცდილება მაძლევს იმის უფლებას, რომ ვიფიქრო, საკუთარი მოსაზრებები გამაჩნდეს და თქვენც მოკლედ გაგიზიაროთ ჩემი შეხედულებები ყველა იმ მოვლენაზე, რაც ბოლო ათწლეულების მანძილზე ჩვენს გარშემო ხდება.**

ნახევარი ცხოვრება რუსეთში გავატარე, ასე თუ ისე, ვიცნობ რუსების ხასიათს და შემიძლია გითხრათ, მაგათზე უფრო რბილი ბუნების ხალხი არსად არ შემხვედრია.

რუსეთი ოკუპანტიაო, სხვის ტერიტორიებს იტაცებსო, იმდენი ვუძახეთ, სანამ მართლა ოკუპანტი არ გახდა.

რატომ გახდა ოკუპანტი?

ამის პასუხად, გავარკვიოთ, რა უნდა თავად საქართველოს, რა უნდა რუსეთს, ჩრდილოეთ კავკასიას და ყველაფერი დალაგდება.

ადამიანები კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში, ყოფიერებიდან გამომდინარე, აზროვნებენ. მათი ხასიათი, სურვილები, მისწრაფებები ადგილობრივ ბუნებრივ კა-



ნონებთან შესაბამისობაში არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, ვერ მოარგებ ერთი და იგივე კანონს ყველა ერს, ხალხსა და ქვეყანას.

ჩვენი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარი იმ იმედით გავიდა, რომ სხვა ქვეყნის ჯარი აქ აღარ შემოვიდოდა. ჩვენ კი ნატოსთან თანამშრომლობის მოლაპარაკებები დავიწყეთ, აფხაზეთმა დამოუკიდებლობისკენ გაიწია, ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ხალხებიც მათ დაუდგა გვერდით, რადგან შავ ზღვაზე გასასვლელლის მოპოვება სურდათ. რუსეთი იშლებაო და მუსულმანურ სამყაროსაც ჩრდილოეთ კავკასიაში გაუჩნდა დამოუკიდებლობის იმედი. თუ აფხაზეთი დამოუკიდებელი გახდებოდა, აფხაზეთთან ერთად შექმნიდნენ ჩრდილო კავკასიის ხალხების კონფედერაციას, გამოაცხადებდნენ დამოუკიდებლობას და შავ ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებდნენ. აფხაზეთის თავდაცვის მინისტრად შამილ ბასაევი დაინიშნა, მას ბოევიკები შემოჰყვა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა.

ზუსტად იმ პერიოდში სტამბოლში მოიწია წასვლა ბატონ ვახტანგ გოგუაძესთან ერთად. მახსოვს, რუსეთის ელჩთან თურქეთში, ბატონ ჩერნიშოვთან შეხვედრა. ვახტანგთან საუბრის შემდეგ მეც გამიჩნდა სურვილი რამდენიმე შეკითხვა დამესვა ელჩისთვის. ვკითხე: რა ინტერესი აქვთ ჩეჩნებს აფხაზეთში, რატომ იბრძვიან ქართველების წინააღმდეგ-მეთქი? – ზღვაზე გასასვლელი უნდათო. რუსეთი ამას დაუშვებს-მეთქი? – ვკითხე. ჩურჩულით მიპასუხა: არასოდეს, არასოდესო.

სამწუხაროდ, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა, რა მოხდებოდა შემდგომში, რომ რუსეთი არ დაუშვებდა ჩრდილო კავკასიის და აფხაზეთის საქართველოსთან კონფედერაციის ან სხვა რაიმე ფორმით გაერთიანებას და მათ დამოუკიდებლობას.

აი, რას ნიშნავდა ჩერნიშოვის ნათქვამი. რუსეთმა აფხაზეთის წართმევით ალყაში მოაქცია ჩრდილოეთი კავკასია, ანუ უზრუნველყო თავისი ტერიტორიის უსაფრთხოება.

ეს უნდა სცოდნოდათ ჩვენს მაშინდელ პოლიტიკოსებს ჩერნიშოვის გარეშეც. მათმა გაუაზრებელმა ქმედებამ ის შედეგი მოგვიტანა, რაც დღეს გვაქვს.

შექმნილი სიტუაციის გაანალიზება საქართველოში მოქმედი ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის ვალდებულება იყო, შეცდომებზე პასუხისმგებლობა ევალებოდა ყველა იმ ხელისუფლებას, მათ შორის კომუნისტურსაც, რომელთა არასწორმა გადაწყვეტილებებმაც ჩამოგვაშორა ეს რეგიონები.

სახელწმიფოებრივი შეცდომების დროის ათვლას მე 1960-იანი წლებიდან დავიწყებდი, იმ პერიოდიდან, როცა გამოჩნდა ბზარი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში, გაჩნდა უთანხმოების პირველი ნაპერწკალი, ჩემი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ, იყო ასეთი შემთხვევა: გაგრა-თბილისის სამგზავრო მატარებელს სოხუმში ქვები დაუშინეს და ფანჯრის მინები ჩაუმსხვრიეს. ეს მოხდა გაგანია კომუნისტური წყობილების დროს. მაშინ ეს ამბავი მიიჩქმალა, ვითომ არაფერი მომხდარიყო. სწორედ იმ პერიოდიდან გამოდის ასპარეზზე აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის ერთ- ერთი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი კონსტანტინე ოზგანი. ის არ იყო არც აფხაზი და არც ქართველი. დაისმება კითხვა: აბა, ვის ემსახურებოდა? ვის და რუსეთს. ჩვენ მაშინ ასე ვფიქრობდით, მაგრამ ოზგანი რუსეთის ინტერესების გამტარებელი არ აღმოჩნდა. მისი მიზანი აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან მიერთება იყო.

აი, აქედან იწყება ყველა ის უბედურება, რაც დღემდე გვჭირს, რადგან ისევ ბუნება მიგვანიშნებს ერთ რამეზე – ნაპერწკალი რომ გაჩნდება, თუ არ ჩააქრე, ხანძარი მოედება ტყეს და მთლიანად გაანადგურებს მას.

მაშინდელი ჩვენი უშიშროების სამსახურის ყოვლად გაუმართლებელმა მოქმედებამ მიგვიყვანა ხანძრის გაჩენამდე.

სულ რამდენიმე წელიწადია მოკვდა ჩვენი დროის „გმირი“ კონსტანტინე ოზგანი, მაშინ როცა სამშობლოს ღალატისთვის დახვრეტა არ უნდა ასცდენოდა.

ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფოსი ნიკოლო მაკიაველი ამბობს; სამშობლოს გადარჩენისთვის ნებისმიერი ბარბაროსული ქმდება გამართლებულიაო.

რა დროს დემოკრატიაა, ძმობილო, როცა ქვეყანა თავზე გვენგრევა.

მაკიაველის ფილოსოფიის თანახმად, ბატონი ოზგანი ხანძრის გაჩენამდე უნდა გამქრალიყო ამ სამყაროდან.

აფხაზეთს მაშინ დავიბრუნებთ, კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობებს თუ ჩამოვაყალიბებთ იმასთან, ვისაც ეს საკითხი ეხება. ეს არის რუსეთი, რომელიც აშკარად გვთხოვს – მე ვარ შენი მოსაზღვრე და ჩემს მტერს ნებით ნუ მოუშვებთ ჩემს სიახლოვეს, თუ არადა, ჩემი ინტერესების მიხედვით, აფხაზეთს მივუერთებ იმერეთს, გურიას, სამეგრელოს, ცხინვალს და დაგტოვებთ თბილისის ამარაო.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რუსები ამას გააკეთებენ.

ახლა, ვინმემ არ იფიქროს, თითქოს მათი განზრახვის შესახებ რაიმე ვიცოდე, უბრალოდ, ვფიქრობ, ასე მოიქცევიან და მე თუ ვიფიქრე, იმათ უკვე ნაფიქრი არ ექნებათ?!

ვის მოუვიდა აზრად, რომ ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯები რუსეთთან მიმართებაში სხვაგვარად წარიმართებოდა. სახელმწიფოს მართვა, უმეტესწილად, დამოკიდებულია ანალიტიკური ცენტრის მუშაობაზე, რომელიც თვალყურს ადევნებს მსოფლიოს სუნთქვას. ცენტრი მუშაობს ანალიზით, რა ხდება შინ და გარეთ და რა საფრთხეების ან გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს ქვეყანა. შესაბამისად მოქმედებს ხელისუფლებაც. თუ ანალიტიკური ცენტრები არ არსებობს ქვეყანაში, მაშინ არც სახელმწიფო არსებულა, და თუ არსებობს, მაშინ გამოვააშკარაოთ, ვინ იძლეოდა ჩვენთვის დამანგრეველ ინსტრუქციებს.

ანალიტიკური აზროვნება არის ჩვენი ხვალინდელი დღე და რომელი ქვეყანაც დღეს მასიურად გადადის ანალიტიკურ აზროვნებაზე, მომავალი მისია.

ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა ანალიზის გაკეთება უნდა ვისწავლოთ. ადრე მხოლოდ ფილოსოფოსებს და სხვა გამორჩეულ ადამიანებს მოეთხოვებოდათ მოვლენებზე ღრმა ანალიზი. სიტუაციების ანალიზზე მასიურად უნდა დავიწყოთ სერიოზული ფიქრი.

ანალიტიკური აზროვნება ოჯახის მართვის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმიცაა. ანალიტიკური აზროვნების გარეშე ცხოვრება თანდათან წარმოუდგენელი ხდება.

კიდევ ვიმეორებ: მიუხედავად დეკლარირებული დამოუკიდებლობისა, ჩვენ, რეალურად, არა ვართ არც დამოუკიდებელნი და არც თავისუფლები. თუმცა ბოლომდე დამოუკიდებელი და თავისუფალი არც ერთი ქვეყანა არ არის: საქართველოში ერთი გავრცელებული ფრაზაა: თავისუფალი



მხოლოდ გიჟიაო და სწორია ეს.

უნდა ვიფიქროთ, დღეს გადადგმული ნაბიჯები რას მოგვიტანს და ხვალ გადასადგმელი ნაბიჯები რას მოგვცემს. მიღებულ შედეგებზე პასუხი უნდა აგოს სახელმწიფო მმართველობამ.

ჩვენთან დამკვიდრებული პოლიტიკური წრეების აგიტაციის მთავარი ლაიტმოტივი არის ერთმანეთის ლანძღვა-გინება, ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას ანგელოზად მოაქვს თავი, იფუთება ბრწყინვალე მომავლის ავტორად, რასაც ხალხი, ამომრჩეველი მეტნაკლებად იჯერებს, ირჩევენ და ფიქრობენ, იქნებ გაგვიმართლოსო. არ დაიცალა ტყუილების გუდა. შედეგად კი ვღებულობთ მოტყუებულ, იმედგაცრუებულ საზოგადოებას. ისევ იწყებს კარუსელი ტრიალს. შესაბამისად, ისევ უკან ვბრუნდებით და გადის ჩვენი ცხოვრება. ამ მოლოდინში ქვეყანა დათხელდა. ამიტომ სასურველია, პოლიტიკურ პარტიებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისროს და ჩვენს ახალ კონსტიტუციაში ჩაიწეროს – პარტია, რომელიც სახელმწიფოს სათავეში მოვა, ვალდებულია აღასრულოს დაპირებები და თუ ვერ შეასრულებს, რეალურად გასამართლდეს, მიეცეს პასუხისგებაში ხალხის მოტყუებისთვის.

დღევანდელი პოლიტიკური სისტემა მიუღებელია, რადგან ყველა იტყუება. საარჩევნო პროგრამა, რის გამოც ხალხმა ესა თუ ის პოლიტიკური პარტია აირჩია, შედეგზე ორიენტირებული უნდა იყოს.

დღემდე არც ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ვინც ქვეყნის სათავეში მოსულა, პასუხი არ უგია. იმიტომ გვყავს ამდენი და ასეთი უხარისხო, უპასუხისმგებლო პარტიები.



რაც შეეხება კვლავ რუსეთს, ის არის უახლოესი მეზობელი და მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს თუ არ გავითვალისწინებთ, აფხაზეთს გააერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოსთან და შავ ზღვასაც დავემშვიდობებით.

ამ საშიშროების წინაშე, შეიძლება, რეალურად დავდგეთ, რადგან რუსეთი გახლავთ სახელმწიფო, რომელსაც ნახევარი მსოფლიო უწევს ანგარიშს და ეს უნდა გავითვალისწინოთ.

მომავლის პერსპექტივაში რუსეთთან შეიკვრება თურქეთი, ჩინეთი, ირანი, ინდოეთი და რუსეთს, რომ იტყვიან, უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემს.

ახლა ხშირად ისმება კითხვა: რა უნდა ჰქნას საქართველომ? რა პოზიცია უნდა დაიკავოს?

პირველ რიგში, უნდა შევცვალოთ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. პარალელურად, უნდა შეიცვალოს ეკონომიკური პოლიტიკაც. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მრეწველობას. უნდა შევიმუშაოთ განვითარების კონცეფცია. ჩვენ გვჭირდება ძლიერი შინაგანი ჯარი. ჩვენ უნდა დავიჭიროთ ნეიტრალური პოზიცია. არ დავუშვათ ჩვენს ტერიტორიაზე არც ერთი ქვეყნის ან კოალიციის ჯარი და შეიარაღება.

ამას ვინც ამბობს ახლა, იმას მოღალატეს, ან რუსეთის აგენტს ეძახიან.

არავითარი აგენტი არაა ის, ვინც ხვდება, რა გზავნილებს უშვებს რუსეთი. ის ამბობს: იყავით დამოუკიდებელი, არ შემოვალ თქვენთან არავითარ კონფლიქტში, ჯარებს გავიყვან, ოღონდ არ განალაგოთ თქვენს ტერიტორიაზე ჩემი მოწინააღმდეგე ბლოკის ბაზები! ჩვენ პირიქით ვაკეთებთ და მეტიც, ჩვენს ჯარს ნატოს სპეციალისტებს ვავარჯიშებინებთ.

როგორც სპორტში, ასევე პოლიტიკაში, შენზე ძლიერს არ უნდა დაეჭიდო, რადგან წაგება გარდაუვალი იქნება.

მე ვარ მსოფლიო ჩემპიონი და როგორი ჩემპიონიც ვიყავი, ცნობილია. ერთ მაგალითს მოვიყვან. ყველამ იცის, უდიდესი მოჭიდავეა ალექსანდრე კარელინი და მიუხედავად იმისა, რომ საჭიდაო ხელოვნებაში შეიძლება მასზე უფრო ძლიერი ვიყო, არავითარ შემთხვევაში არ შევეჭიდებოდი მას. ფიზიკური სხვაობიდან გამომდინარე, ჩემი გამარჯვება მასთან შეუძლებელია და არც თქვენ მირჩევდით, ალბათ.

ნათქვამია, ძალა აღმართს ხნავსო. ჩვენს შემთხვევაში ძალა მართავს და არა გონიერება. გონიერება ადამიანს გინდა იმისთვის, რომ ძლიერთან არ მოგივიდეს შეცდომა, აი, ეს არის სწორი გადაწყვეტილება.

რატომ ვიტკიებთ აუტკივარ თავს? არ ჯობს, მშვიდობიანად ვიცხოვროთ ყველა სახელმწიფოსთან და განსაკუთრებით, მეზობლებთან?!

სარწმუნოება და დიდი რუსული ბაზარი არის ჩვენს გარშემო, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიყენებთ. ვზივართ ნაყოფიერი ხის ტოტზე და ჩვენივე ხელით ვჭრით ამ ტოტს. ეს არ არის გონივრული საქციელი.

დაუჩემებიათ, ევროპაში და აშშ-ში გავიტანოთ პროდუქციაო. გავიტანოთ! მაგრამ ვის სჭირდება იქ ჩვენი პროდუქცია? ევროპა-ამერიკას რად უნდა ქართული ღვინო, საუკეთესო გერმანული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიური და ფრანგული ღვინოებითაა სავსე მსოფლიო ბაზარი. ჩვენ კი ჩვენი ბაზრისთვის ვერ გვიპატრონებია.

რა გვაქვს ჩვენ, რას ვაკეთებთ, რას ვაწარმოებთ, ან რა ვართ, საერთოდ? თოხს ვერ ვაკეთებთ და ბარს, ტუალეტის ქაღალდსაც ვერ ვუშვებთ და კიდევ დიდი პრეტენზიები რომ გვაქვს, ესაა, სწორედ, გასაკვირი.

აი, ახლა, ივნისის თვე დგას საქართველოში. წადით, მაგალითად, კახეთში, ან საქართველოს სხვა რეგიონში, იქ ნახავთ ჰექტრობით დაუმუშავებელ მიწებს, გაველურებულ ვენახებს. რაც დამუშავებულია, ისიც უხარისხოდ. მერე ჩადით გერმანიაში და დაათვალიერეთ, როგორ უვლიან გლეხები ვენახებს, მინდვრებს, მიწას...

ან რა დღეში გვყავს შინაური ცხოველები და ფრინველები?!..



ვისი კარნახით გავანადგურეთ ფაბრიკა-ქარხნები, მრეწველობა, ეკონომიკა, არ არის საინტერესო? რუსეთსაც და უკრაინასაც იგივე დამართეს, რაც ჩვენ. ლუკაშენკომ რატომ არ დაანგრია ყველაფერი თავის ქვეყანაში, გიფიქრიათ ამაზე?

შეცდომებზე არ გვინდა ლაპარაკი? არ გამოვა ასე. წარსული ჩვენი საზომია. შეცდომებზე უნდა ვილაპარაკოთ და გამოვასწოროთ. მის გამოსასწორებლად მთავარია, მრეწველობის განვითარების რამდენიმე კომპონენტის სახელმწიფოს, ანუ საზოგადოების ხელში დაბრუნება.

ისტორია არავის ავალდებულებს მის ცოდნას, მაგრამ არცოდნას არავის პატიობს.

## მე ქართველი ვიყავი ყოველთვის და ყველა ჯილდო, ყველა სახელი და დიდება საქართველოში ჩამოვიტანე, სხვისთვის არაფერი დამიტოვებია

როდესაც მსოფლიოს ქვეყნებში შეჯიბრებებზე დავდიოდით, ცხადია, ვასპარეზობდით საბჭოთა კავშირის სახელით, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ მონაწილეები ყველანი რუსები არ ვიყავით. რამდენჯერ უკითხავთ ჩემზე – ვინ არის ეს ბიჭი, ასე კარგად რომ ჭიდაობსო. პასუხი იყო: ქართველი. მე ვიმარჯვებდი და ყველა ჯილდო, სახელი და დიდება საქართველოში ჩამოვიტანე. რუსეთში არაფერი დამიტოვებია. ახლა ამბობენ: ყველა სპორტსმენი რუსი ეგონათ და ჩვენს ქვეყანას არავინ ახსენებდაო. ასე არ იყო. პირიქით, კითხულობდნენ – საიდან არის? – საქართველოდან. მაშ, კარგია, – ამბობდნენ, რადგან ქართველობა ერთგვარი სამარკო ნიშანი იყო რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც.

ჩემი სახელი არ იყო უბრალო, ანგარიშს მიწევდნენ და ეს არ იყო შემთხვევითი. სსრკ-ს ნაკრებში ერთდროულად მყავდა 6 კონკურენტი და ექვსივე მსოფლიო ჩემპიონები იყვნენ, ნებისმიერ ჩემპიონატზე ნებისმიერი მათგანის მონაწილეობა დიდი პატივი იყო, მაგრამ ყველა ჩემპიონატზე მხოლოდ მე მიშვებდნენ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს, რადგან ეს შეფასების უმაღლესი კრიტერიუმი იყო მაშინ და მიმაჩნია, რომ დღესაც ასე არის.

ყველაფერი, რაც გავაკეთე, რაც შევქმენი, საკუთარი მარჯვენით გავაკეთე. მე-8 კლასის დამთავრების შემდეგ ჩამოვედი თბილისში. ფიზიკურად ძლიერი ვიყავი. ფეხბურთს ვთამაშობდი კარგად. ერთხელ შემთხვევით, საჭიდაო დარბაზში მოვხვდი და რადგან ფეხბურთში ნავარჯიშევი ვიყავი, კარგი სუნთქვა მქონდა. თავიდანვე კარგად დავიწყე ჭიდაობა. სუნთქვის რეგულირების ცოდნამ შემაძლებინა დამემარცხებინა ჩემი მოწინააღმდეგეები აქაც, რუსეთშიც და სხვაგანაც. სწორი სუნთქვა აზროვნებას უწყობს ხელს. სუნთქვა არის აზროვნების დედა. თუ კარგად სუნთქავ, კარგადაც აზროვნებ.

ჭიდაობაში მე ჩემი ხელწერა მქონდა. ბევრი რამ შევცვალე, როგორც ტექნიკური, ასევე ტაქტიკური კუთხით. ნიჭიც აღმომაჩნდა და ამ სამმა კომპონენტმა განაპირობა წარმატებები ჩემს სპორტულ კარიერაში.

საქართველოში დღეს ადამიანი უნდა იყოს საკუთარი საქმის პროფესიონალი. უნდა იცოდეს, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ნაგვის გადამუშავება კარგად. არ იფიქროთ, ნაგავი იყოს მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენი. სულიერად დაბინძურებაც საზოგადოების ცხოვრების, აზროვნების და შეგნების დანაგვიანებას ნიშნავს. ყველას და ყველაფერს უნდა დაარქვა თავისი სახელი და მიუჩინო თავისი ადგილი, ანუ უნდა „გადაამუშავო“, მაგრამ ნურავის ეგონება, თუკი თვითონ კარგია, ე. ი. ყველაფერი კარგად არის. არა. კარგი მაშინ არის კარგი, როცა არსებობს ცუდი.

ათვლის წერტილი თუ არ არსებობს, კონკურენციაც არ იქნება. ამიტომ მიზნად ის კი არ უნდა გქონდეს, რომ ცუდი მოსპო, არამედ ხელი უნდა შეუწყო, რომ განვითარდეს, დაგეწიოს, მაშინ, როცა შენ უკვე გაცილებით წინ იქნები.

## ვწუხვარ!

ვწუხვარ, ამდენი გამოცდილება მაქვს, ცოდნა შემიძენია და ჩემს ქვეყანას არ ვჭირდები. ბოლო-ბოლო, ჭიდაობაც არ ვიცი? ესეც არ შემიძლია ვასწავლო თაობებს? ესეც არ უნდათ. სავსეა პარლამენტი ახალგაზრდებით. კარგია ეს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ აქვთ არც თავიანთი ცოდნის და არც ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება, არადა, პრაქტიკულ გამოცდილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გამოცდილება თუ არ აქვს ადამიანს, ის კარგ კანონს ვერ შექმნის. მე რომ გელაპარაკეთ ზემოთ ბუნების კანონზე, ის კანონი უნდა იყოს ყველაფრის თავი და თავი და ამოსავალი წერტილი და მაშინ გავხდებით წარმატებული ქვეყანა და ერი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# მეორე მსოფლიო ომი ხუთ წელიწადში დამთავრდა, ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება კი 24 წელია გრძელდება



← 4 გვ.

და, რომ მოთხოვნილებაც იყო. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ რუსმა ქართველებს სახელმწიფოებრიობა დიდი ხნის წინ წაგვართვა. სახელმწიფოებრივად აზროვნების შემთხვევაში ასეთ რეკლამას არცერთი სახელმწიფო არ გაუშვებდა. წარმოიდგინეთ, დღეს, ისრაელში რომელიც მუსულმანურ სამყაროსთან საომარ მდგომარეობაშია, ისრაელის მოქალაქემ, სამხედრო თვალსაზრისით, თავის ვალდებულება რომ არ შეასრულოს, მოქალაქეობას ართმევენ. ჩვენები კი იმის ნაცვლად, რომ თავისიანებს საომარ მოქმედებებში დახმარებოდნენ, დასასვენებლად დუბაიში დადიოდნენ.

**— ბატონო ზურაბ, ახლახან, ივანიშვილმა აფხაზებს ეკონომიკის გაძლიერების კუთხით მასშტაბური პროექტი შესთავაზა, პასუხი უცნაური იყო — ჯერ ბოდიში მოგვიხადეთ, ომი რომ დაიწყეთო. სახალხო დიპლომატიამ შეიძლება არ იმუშაოს, მაგრამ რამდენად საჭიროა ზუსტი ანალიზი თუ რა მოხდა სინამდვილეში. შევარდნაძემ ჯერ თბილისი დაიპყრო და მერე აფხაზეთს მიადგა. არ შეიძლება აფხაზებს სიმართლე ვუთხრათ?**

— არ მომერიდება და თავად ვეტყვი ნებისმიერ აფხაზს რა და როგორ იყო, მაგრამ მოგვისმენენ კი?! ისინი გადაწყვეტილებას არასდროს მიიღებენ. გეთანხმებით, ასეა, ეს ჩვენი ომი არ იყო, მაგრამ არსებობს ძალიან სერიოზული მაგრამ — დღეს, აფხაზებში ამის მომსმენი და ჩვენსკენ ნაბიჯის გადმომდგმელი არ არსებობს. ასეთ სოციუმს, დღეს, აფხაზებში ვერ იპოვი, გამორიცხულია. კი შევარდნაძე მაიმუნად, მამაძაღლად მიაჩნიათ, აგინებენ, მაგრამ რუსის მიმართ არ არსებობს აფხაზმა ხმამაღლა რაიმე ცუდი თქვას.

**— თავის დროზე სიმართლე არ ვთქვით და შედეგად მაშინ დაწყებული ნგრევა დღემდე არ დამთავრებულა. თქვენ შევარდნაძის როლზე ისაუბრეთ და აქვე მინდა გაიხსენოთ ის პერიოდი როცა მან აფხაზეთის ქართველობას განიარაღებისკენ მოუწოდა?**

— ახლა, ისეთ ფაქტს გეტყვით, რომელსაც ანალოგი არ აქვს. 1993 წელს 1 სექტემბერს, 27 ივლისის დაგომისის ხელშეკრულების შემდეგ, შევარდნაძემ, ძალოვანმა სტრუქტურებმა ქართული მოსახლეობის განიარაღება დაიწყეს. მაგალითად, ჩემი სახლიდან ქართველმა პოლიციელებმა ბაბუაჩემის ნაქონი თექვსმეტკალიბრიანი თოფი წაიღეს. განაიარაღეს ქართველები, ტანკები, მძიმე არტილერია ჩვენივე ხარჯებით წაიყვანეს. შევარდნაძე მოსახლეობას არწმუნებდა: დაბრუნდით სახლებში, ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებასო. ბევრმა მას დაუჯერა, მე ვყვიროდი ეს სიცრუეამეთქი. ქართველების მასობრივი ჟლეტის შემდეგ, გამოგვიცხადა მოგვატყუესო. ერთხელ, ორჯერ, სამჯერ — რამდენჯერ მოატყუეს? ამ „მოტყუებებს" 20 ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— პირველ რიგში, ეროვნული ხელისუფლება უნდა მოვიდეს, მაგრამ მას პერსპექტივა არასდროს ექნება მანამ, სანამ რუსი ჯერ კიდევ ამ ტალღაზეა მორგებული. რუსეთი უკვე არამარტო საქართველოსთვის წარმოადგენს საფრთხეს, არამედ დიდი ხანია მსოფლიოს ემუქრება. დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე, საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფო თავის ჩარჩოებში მოექცევა. ასეთ შემთხვევაში იქნება ჩვენი შველა. რუსეთში რღვევა დაიწყება და ის პოლიტიკა რასაც მის მიმართ მსოფლიო ატარებს, შედეგს გამოიღებს. აი, მაშინ გვეშველება ჩვენც!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# არც ვინმეს დახვრეტას ვითხოვ და არც ვინმეს სარზე გასმას, მაგრამ ქვეყნის მოღალატე ამ ფსევდოლიბერალებს პირის აბანო ნამდვილად მოუხდებოდა

← 5 გვ.

გვქონდეს. ვინმეს დახვრეტას და სარზე გასმას არ ვითხოვ, არც ერდოღანივით ნახევარი ქვეყანა უნდა გამოვკეტოთ ციხეში, მაგრამ ზოგიერთს არ აწყენდა ჭკუაზე მოსასვლელად ციხის კედლების „ხეხვა". იმ ადამიანის დანდობა როგორ შეიძლება, რომლისთვისაც სულ ერთია, ვინ დაამუშავებს ქართულ მიწას და ვინ გამრავლდება, ქართველი თუ უცხოტომელი. ასე ეგვიპტეც არსებობს, მაგრამ ძველ ეგვიპტელებთან არანაირი კავშირი არ აქვს. დღეს მოღალატეების ზეიმია და სამწუხაროდ, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამას ხელს უწყობს. ფსევდოლიბერალები ქვეყნის მოღალატეები არიან, ხანდახან მიწევს მათთან დებატებში მონაწილეობა და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ შეიძლება მათთან ლაპარაკი, ვერაფერს შეასმენ. კაცი რომ იმას იტყვის, ბარში ქართველებს არ შევუშვებ, უზრდელები არიანო და მის მხარდასაჭერად მთელი ფსევდოლიბერალები დაირაზმებიან, არ არის კატასტროფა? აგერ ქართველი გოგონების გაუპატიურება დაიწყეს უცხოტომელებმა, სამცხე-ჯავახეთში ვიღაც ირანელი დაიჭირეს, რომელიც თურმე არასრულწლოვან ბიჭებს რყვნიდა. ჩვენ მუსულმანური ქვეყნების გარემოცვაში ვართ, უპრობლემოდ გადაგვყლაპავენ. საომარი მოქმედებები რომ დაიწყოს, აზერბაიჯანს თურქეთი დაუდგება გვერდით, სომხეთს რუსეთი, ჩვენ ვინ დაგვიდგება? ფაქტობრივად ჯარიც კი არ გვყავს, აზერბაიჯანი მილიონობით თანხებს ხარჯავს შეიარაღებაზე, ჩვენნაირი შეიარაღება კი უკვე ჩეჩნეთს აქვს, რომ მოინდომონ, უპრობლემოდ გაგვაქრობენ. ვინ იბრძოლებს, ნარკოტიკებით გაბრუებული ახალგაზრდობა თუ გირჩელი ჯაფარიძის „მრევლი", რომელიც მისი „მოძღვრების" მიმდევრობაზე და გასაბერ „ეკლესიაში" ლოცვაზეც თანახმაა, ოღონდ ჯარში არ წავიდეს.




მიხეილ სააკაშვილი ფეხებითაა დასაკიდებელი. რომ ამბობენ, რუსეთმა ბევრჯერ დაარღვია ჩვენთან ხელშეკრულებაო, ჩვენ არ დავარღვიეთ? პუტინთან რომ დაიწყო სააკაშვილმა მოლაპარაკება, თეთრი ფურცლიდან დავიწყოთ ურთიერთობაო, იქ ასეთი პირობა იყო, რომ აჭარაში უნდა გახსნილიყო ანტიტერორისტული ცენტრი, სადაც ქართველი და რუსი ძალოვნები ერთად გაივლიდნენ წვრთნებს, რაც ძალიან კარგი იქნებოდა, თურქეთი ამდენს ვეღარ გაგვიბედავდა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა სააკაშვილმა „გადააგდო" რუსები, იმიტომაც მივიღეთ სამაჩაბლოში მძიმე შედეგი, ქართულ მხარეს პირობა რომ დაეცვა, შეიძლება სამაჩაბლო უკვე დაბრუნებულიყო და აფხაზეთის დაბრუნებაზეც გვეფიქრა. თავს იმით ნუ დავიმშვიდებთ, რომ რუსეთი აჭარას მაინც არ დათმობს, თუ მოლაპაკებები არ დავიწყეთ კრემლთან, შეიძლება რუსეთმა ისევე დათმოს აჭარა, როგორც თავის დროზე ლენინმა დაუთმო ათათურქს ტაო-კლარჯეთი და სხვა ქართული ტერიტორიები, პუტინის შემდეგ ნავალნისნაირი გარეწარი თუ მოვიდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში, გამორიცხული არაფერია. 2008 წლის ომის დროს ერდოღანი მოსკოვში გაიქცა, ჩვენი ჯარი აჭარაში შევიდესო, მაგრამ პუტინმა კატეგორიული უარი უთხრა, ამიტომ ჯობია მის გინებას თავი დავანებოთ და მოლაპარაკებების დაწყებაზე ვიფიქროთ, თორემ პუტინის შემდეგ გაცილებით გაგვიჭირდება რუსეთთან დალაპარაკება.

ახლახანს თბილიში ჩამოვიდა რუსეთის კულტურის ყოფილი მინისტრი, კულტურული ურთიერთობები აღვადგინოთო, ამ ფსევდოლიბერალების მოღალატეობრივმა სექტამ ერთი ამბავი ატეხა, რატომ ჩამოვიდაო. ამ უცხო ქვეყნების აგენტურას, რომელიც საქართველოს დაუძინებელი მტერია, საზოგადოებამ თავისი სახელი უნდა დაარქვას და პასუხი მოსთხოვოს, რადგან მათი გამოსწორება გამორიცხულია. სანამ პოლიტიკურ ველზე, მათ შორის ხელისუფლებაშიც, მოღალატეები იქნებიან, საქართველოს არაფერი ეშველება. ამათი „დამსახურებაა" პატრიოტული ძალების განდევნა და საეჭვო წარმომავლობის „ენჯეოშნიკების" აღზევება. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ამათი შემყურე მომავალი თაობაც ისეთი იზრდება, რომლებმაც 10-15 წლის შემდეგ შეიძლება თვითონვე თქვან უარი ენასა და სარწმუნოებაზე, ხოლო ქართული მიწების უცხოეტომელებისთვის გადაცემაც თავადვე მოითხოვონ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# შამბალა – ქვეყანა, რომელიც ღმერთს ეკუთვნის

შამბალას შესახებ ცნობები შუა საუკუნეებიდან არსებობს. მას შემდეგ არ განელებულა წამყვანი ქვეყნების მთავრობათა ინტერესი, რომლებიც არაერთხელ შეეცადნენ ამ მისტიკური ადგილის პოვნას და მისი ენერგიების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას. მე-20 საუკუნეში ჰიტლერი დაინტერესდა ამ თემატიკით და სპეციალური საიდუმლო ორგანიზაციაც კი შექმნა, რომელიც ტიბეტში გაემგზავრა, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი ვერც ერთმა ექსპედიციამ ვერ აღმოაჩინა, რადგან მათ ვერავინ პოულობს, თუ არ არის ხმობილი.

გადმოცემის თანახმად „შამბალა“ გახლავთ, უხილავი მისტიკური ქვეყანა სადაც ცხოვრობენ კაცობრიობის უხორცო უხილავი მასწავლებელი მახატმები. ისინი „რჩეულ“ ადამიანებთან ან, მათი მეშვეობით აგზავნიან თავის მიმართვებს და საიდუმლო ცოდნას, თვალყურს ადევნებენ იმას რომ კაცობრიობა არ ასცდეს ჭეშმარიტ გზას.

მახატმები გაერთიანებულები არიან ერთგვარ მსოფლიო მთავრობაში რომელსაც ეწოდება თეთრი ძმობა.

შამბალას პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანეს სახელგანთქმულმა რუსმა მხატვარმა ნიკოლოზ რერიხმა. რომელმაც დაწერა და დახატა წიგნების და სურათების სერია შამბალაზე და მის მკვიდრებზე და ინგლისელმა მწერალმა ჯეიმს ჰილტონმა რომელმაც 1933 წელს გამოსცა თავისი რომანი „ახალი ჰორიზონტი“.



1925 წელს რერიხმა, რომელიც ღიად უპირისპირდებოდა საბჭოთა მთავრობის მოქმედებებს, მოგვიანებით სცადა კავშირის დამყარება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასთან. აღმოსავლური ბუდისტური თემების კვლევისას მან დაასკვნა რომ ბუდისტური თემი ძალიან ახლოა კომუნისტურ საზოგადოებასთან, რაზედაც დაწერა წიგნში „ობშჩინა“.

რევოლუციის ბელადს ის უწოდებდა მახატმა ლენინს. ცნება მახატმა ინდუიზმში ნიშნავს ცხოვრებაშივე, ამქვეყნადვე გადარჩენილს, ე.ი. წმინდანს.

1926 წელს რერიხი მოსკოვს ეწვია საბჭოთა სახელმწიფოსთვის დახმარების გაწევის საიდუმლო მისიით. ჰიმალაელმა მახატმებმა გადასცეს წერილები და წმინდა საგნები, მათ შორის სპილოს ძვლის ყუთი რომელშიც იყო ჰიმალაების მიწა რათა ის დაედო „მახატმა ლენინის“ საფლავზე.

რერიხი შეხვდა სახალხო კომისრებს გ. ჩიჩერინს და ა. ლუნაჩარსკის, რომლებიც დაინტერესდნენ მისი შემოქმედებით და ჰიმალაელი მახატმების მიერ საბჭოთა მთავრობისთვის გაგზავნილი წერილით.

წერილში ლაპარაკი იყო რომ ბუდისტები კომუნიზმს განიხილავენ როგორც საზოგადოების ევოლუციას. რომ კომუნიზმის მშენებლობას შეიძლება შეუერთდეს მილიონობით ბუდისტი რაც იქნება უზარმაზარი გარღვევა კაცობრიობის ევოლუციაში და მიგვიყვანს აზიის ერთიანობამდე. ძველრუსულ თქმულებებში გვხვდება შამბალას რუსული ვარიანტის, “საოცარი ქვეყნის” ხსენება. მას ჰქვია „ბელოვოდიე“. იქაა ნაყოფიერი მიწები, მოდის თბილი წვიმა, პური თვითონ იზრდება მთელი წლის მანძილზე და მწვანე ველებზე დაბალახობენ მსუქანი ცხოველები.

ეს ქვეყანა ეკუთვნის ღმერთს და მეტს არავის. იქ ცხოვრობს მთელი სილაღე-თავისუფლება და მთელი ჭეშმარიტება.

იქ რომ მოხვდე უნდა წახვიდე აღმოსავლეთისკენ, მზისკენ, გაიარო ტრამალები, მთები და ტაიგა.

„ბელოვოდიე“ მეჩვიდმეტე-მეცხრამეტე საუკუნის რუსულ ხალხურ თქმულებებში არის თავისუფლების ლეგენდარული ქვეყანა. ძველმორწმუნეთა აზრით ის იყო სადღაც აღმოსავლეთში, ეგონათ რომ ეს უნდა ყოფილიყო ბუხტარმის მხარე ალტაიზე. სწორედ ბუხტარმის მხარისკენ მიისწრაფოდნენ ბელოვოდიეს ძიებაში ეკლესიის განყოფის შემდეგ გაჩენილი ძველმორწმუნეთა თემები.

მეთვრამეტე-მეოცე საუკუნეებში რუსები ყოველგვარი მისტიკის გარეშე აწყობდნენ ლაშქრობებს „ბელოვოდიეს“ მოსანახად.

ყველაზე ცნობილია ლაშქრობები ძმები ბობროვების ხელმძღვანელობით. რაზმი გადავიდა ტიან-შანის ქედებზე და სამხრეთისკენ მიმავალმა მიაღწია ტბა ლობნორამდე და დასახლება ჩარკლიკამდე.

იპოვეს თუ არა გადასახლებულმა რუსებმა თავისი შამბალა-ბელორეჩიე- უცნობია. როგორც მრავალი მისტიკური რწმენა შამბალა ჩაითრია პოლიტიკამ. საოცარია, მაგრამ პირველად ეს მოხდა რუსეთში.

ბურიატი ბერი აგვან დორჟიევი (1854–1938) სწავლობდა ლხასაში და დროთა მანძილზე გახდა მე-11 დალაი-ლამას დამრიგებელი ფილოსოფიური დისპუტების საკითხებში.

წარმოშობით ბურიატი დორჟიევისთვის რუსეთი უფრო ახლო იყო ვიდრე ჩინეთი და ბრიტანეთი და მან დაარწმუნა დალაი-ლამა იმაში რომ მას დახმარებისთვის რუსეთისთვის უნდა მიემართა.

დორჟიევმა დაარწმუნა დალაი-ლამა იმაში რომ სწორედ რუსეთია შამბალა და ნიკილოზ მეორე კი არის სკოლის დამაარსებელი გელუგ ლამა ცონკაპას რეინკარნაცია.



საგარეო საქმეთა მინისტრი იმ დროს იყო თავადი ესპერ უხტომსკი რომელიც დიდად იყო დაინტერესებული საზოგადოდ აღმოსავლური და კერძოდ “ლამაისტური” კულტურით. მოგვიანებით მან რამოდენიმე წიგნიც კი დაწერა ამის შესახებ.

თავადმა უხტომსკიმ შეახვედრა იმპერატორი დერჟიევს. ეს იყო დერჟიევის როგორც დალაი-ლამას წარმომადგენლის პირველი აუდიენცია.

შემდეგ როგორც შუამავალმა იმპერატორსა და დალაი ლამას შორის, მან რამოდენიმეჯერ იმოგზაურა რუსეთიდან ტიბეტში და უკან მაგრამ მთელი ძალისხმევის მიუხედავად მან ვერ მიიღო რუსეთის სამხედრო მხარდაჭერა.

სანსკრიტი, არიელები, წმინდა კანონები, სიწმინდეები, გავლენის მოხდენა ადამიანებზე და დროზე, ტელეპატია და ჰიპნოზი, მოკლედ ყველაფერმა ამან გაიტაცა ჰიტლერიც და ჩეკისტებიც და ისინი ექსპედიციებს აგზავნიდნენ ტიბეტში შამბალას მოსანახად.

1920-ანის წლების დასაწყისში ბოლშევიკთა ხელმძღვანელობაში ტიბეტის მიმართ არსებობდა ორგვარი დამოკიდებულება- პრაგმატული და მისტიკური.

ამ მოძრაობის იდეური შთამაგონებელი, ტვინი და ძრავა იყო გეოგრაფი, ექიმი, მწერალი ალექსანდრ ვასილიევიჩ ბარჩენკო რომელიც ამტკიცებდა რომ მას აქვს ტელეპატიის ნიჭი.

შამბალას მეცნიერული მემკვიდრეობის შესასწავლად მან შექმნა საიდუმლო ორგანიზაცია „ერთიანი შრომითი ძმობა“

ბარჩენკომ 1925 წელს მოაწყო ექსპედიცია ტიბეტში. მის დასაფინანსებლად გამოიყო იმ დროისთვის უზომო თანხა-600 000 დოლარი. მაგრამ საიდუმლო ცოდნა რომ არ ჩავარდნილიყო შემთხვევითი ხალხის ხელში ბარჩენკოს ბოლო მომენტში ექსპედიციაზე უარი უთხრეს და ტიბეტში შამბალას საიდუმლოთა მოსანახად გააგზავნეს გამოცდილი ბოლშევიკი, ჩეკისტი და მკვლელი იაკოვ ბლიუმკინი რომელმაც, 1918 წელს მოკლა გერმანიის ელჩი რუსეთში გრაფი მირბახი.

1925 წლის სექტემბერში იაკოვ ბლიუმკინი უერთდება ნ. რერიხის ექსპედიციას და მასთან ერთად გაივლის მთელ ტიბეტს და დასავლეთ ჩინეთს.

საბჭოთა კავშირში მალე გაიმარჯვა აზრმა რომ რელიგია არის ოპიუმი ხალხისთვის. 1937 წლისთვის საბჭოთა ხელისუფლება იმდენად განმტკიცდა რომ საიდუმლო ცოდნა აღარ იყო აუცილებელი.

1936–38 წლებში დაიჭირეს ან დახვრიტეს ერთიანი შრომითი ძმობის წევრები. დაიჭირეს აგვან დორჟიევიც, რომელიც ისევ იყო დალაი-ლამას წარმომადგენელი რუსეთში. ის „ნკვდს“ ციხეში გარდაიცვალა პატიმრობის პირველივე თვეს.

ტიბეტურიდან თავისუფალი თარგმანით შამბალა ნიშნავს ბედნიერების წყაროს.

ადამიანი მუდამ იოცნებებს სიკეთის, ჰარმონიის, სამართლიანობის და სიუხვის სამეფოზე. ამიტომ შამბალა მარადიული და უკვდავია. შამბალა არის კაცობრიობის მუდმივი ჰორიზონტი. ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ მისკენ, მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს რომ ჰორიზონტი არის წარმოსახვითი და მიუწვდომელი ხაზი.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

# ძლიერი რეგიონები



ბაღდათი

### ხილის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ბაღდათის მუნიციპალიტეტში

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის გადამმუშავებელი საწარმო „აგროლეინი" ლურჯი მოცვისა და ჟოლოს გადამუშავებას ახდენს. საწარმოში 30 ადამიანია დასაქმებული. კომპანია წლიურად 12 ტონა გაყინულ ჟოლოს და 56 ტონა გაყინულ მოცვს აწარმოებს. პროდუქცია იყიდება როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე გადის ექსპორტზე. აღნიშნული საწარმო 2016 წელს აშენდა.

კომპანია „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის" ბენეფიციარია. საწარმოში ჯამურად 455 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 182 000 დოლარი გრანტია, ხოლო 227 500 დოლარი – შეღავათიანი აგროკრედიტი.

2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო სხვადასხვა პროექტს ახორციელებს ახალი საწარმოების შექმნის მიზნით. პროექტების ფარგლებში შეღავათიანი სესხები გაიცემა როგორც ახალი საწარმოების შექმნისთვის, ისე უკვე არსებულის გაფართოებისთვის. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში უკვე დაფინანსდა 750-ზე მეტი მოქმედი და 158 ახალი საწარმო.

### სამედიცინო კონგრესი წყალტუბოში

წყალტუბოში სამედიცინო თემებზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიება გაიმართა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალერგოლოგიის, ასთმისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის 20 წლისთავის აღსანიშნად გამართულ ღონისძიებას ნობელის პრემიის ლაურეატი აარონ ჩიხანოვერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვესიტაძე, მსოფლიო ალერგოლოგიის ორგანიზაციის პრეზიდენტი მარიო სანჩეზ-ბორხესი, ამერიკის ალერგიის, ასთმისა და იმუნოლოგიის კოლეჯის ყოფილი პრეზიდენტი ბრაიან მარტინი და სხვა ცნობილი მეცნიერები და ექიმები ესწრებოდნენ. კონგრესი გახსნა და საპატიო სტუმრები საზოგადოებას წარუდგინა მსოფლიო იმუნოპათოლოგიის ორგანიზაციისა და საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის პრეზიდენტმა რევაზ სეფიაშვილმა. კონგრესი ორი დღის განმავლობაში თბილისში მუშაობდა, შემდეგ კი მუშაობა წყალტუბოში გაგრძელდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები კონსტანტინე მამისეიშვილი და პაატა ახალაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი, რომლებმაც მისასალმებელი სიტყვების შემდეგ საპატიო სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცეს. კონგრესზე აღინიშნა, რომ სამეცნიერო მუშაობა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის, რომ საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა უნიჭიერესი კადრებით, რომლებსაც გაფრთხილება და სამეცნიერო ნაყოფიერი მუშაობისთვის სათანადო პირობების შექმნა სჭირდებათ.

### ხარაგაულის გზების კეთილმოწყობაზე 6,5 მილიონი დაიხარჯება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობის № 569 განკარგულების საფუძველზე, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონული განვითარების ფონდიდან ხარაგაულს პირველ ეტაპზე 3 535 500 ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტის 16 სოფელში ჯამში 23 კმ. გზა დაიგება.

ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან შემდგარი მოლაპარაკებების შედეგად, მუნიციპალიტეტს დამატებითი თანხები გამოეყო. ხარაგაულში, მიმდინარე წელს, დამატებით, 10 სოფლის ცენტრალური გზის სრული რეაბილიტაცია იგეგმება. ჯამში 22 კმ. გზის შესაკეთებლად რეგიონული განვითარების ფონდი 2 598 335 ლარს გამოყოფს.

რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5-პროცენტიანი თანადაფინანსება დაემატება და მთლიანობაში, 6,5 მილიონი ლარით, მუნიციპალიტეტის 26 სოფელში 45 კმ. გზას ჩაუტარდება სრული, კაპიტალური რეაბილიტაცია.

როგორც ნიკოლოზ თოფურიძე განმარტავს, 2017 წელს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ პრიორიტეტი ინფრასტრუქტურულ პროექტებს მიენიჭა და 26 სოფლიდან მხოლოდ ერთ სოფელში, ნადაბურში, აშენდება ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, დანარჩენ 25 სოფელში კი, გზების ის მონაკვეთები მობეტონდება, სადაც განსაკუთრებულად რთული მდგომარეობაა.

რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე დაფინანსებულ პროექტებზე ტენდერები უკვე დასრულებულია და სამუშაოები მიმდინარეობს.

### შეხვედრა ატმის სეზონთან დაკავშირებით გურჯაანში

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ხილის გადამმუშავებელი კომპანიების წარმომადგენლებს, ექსპორტიორებსა და ფერმერებს შეხვდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი, კახეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ქადაგიშვილი და გურჯაანის მაჟორიტირი დეპუტატი დავით სონღულაშვილი. შეხვედრას გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გერგიძე და საკრებულოს თავმჯდომარე ვანო ბერიძიშვილი ესწრებოდნენ. განიხილეს ატმის სეზონის აქტიურ ფაზაში შესვლასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები სრულად არიან მობილიზებული, რათა შეუფერხებლად და ორგანიზებულად დაბინავდეს ატმის მოსავალი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით. ივლისიდან რეგიონში ამოქმედდება სახელმწიფო თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი საწარმო, რომელიც ჩაიბარებს ყველა სახის ატამს, როგორც სასურსათოს, ისე სამრეწველოს, რაც გლეხს პროდუქციის რეალიზაციას მნიშვნელოვნად გაუმარტივებს. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გამარტივებულია საექსპორტო პროცედურები. ვფიქრობთ ატმის სეზონი შეფერხების გარეშე, წარმატებით ჩაივლის",– განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით გამარტივებულია საექსპორტო პროცედურებიც. სურსათის ეროვნული სააგენტო და შემოსავლების სამსახური „ერთი ფანჯრის პრინციპით" გასცემენ ფიტოსანიტარიულ და წარმოშობის სერტიფიკატებს.

### დედოფლისწყარო – კალიის საწინააღმდეგო ქიმიური წამლობის პროგრამა დაიწყო

პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან, კახეთის გუბერნატორ ირაკლი ქადაგიშვილთან, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროს ზურაბ ჩეკურაშვილთან და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ ჯანიაშვილთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში საკარანტინო მავნებლის – იტალიური კალიის საწინააღმდეგო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

### დედოფლისწყარო – ქედების გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად დედოფლისწყარო-ქედების დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს დედოფლისწყარო-ქედის დამაკავშირებელი 6-კილომეტრიანი მონაკვეთის მოხრეშვა-რეაბილიტაცია, რომელსაც შპს „სერპარტინი" ახორციელებს. გამგებლის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის განცხადებით, მუნიციპალიტეტის სოფლებთან დამაკავშირებელი გზების პრობლემა აღარ იარსებებს.

### დუშეთი – სოფელ ციხისძირში დასრულდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ციხისძირში დასრულდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. ხელახალი დაქსელვისა და სოფელში განხორციელებული სამუშაოების შედეგად მოსახლეობას წყლის მიწოდება გაუუმჯობესდება. ციხისძირში მიმდინარე წლის მაისის თვეში დასრულდა გაზიფიცირება. ამჟამად მიმდინარეობს აბონენტთა ინდივიდუალური გამრიცხველიანება.

### ფასანაური–გუდამაყრის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვაჟა ჩოხელმა გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა. ფასანაური-გუდმაყრის მიმართულებით გზის მოასფალტება მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო და ივლისის თვეში დასრულდება. პროექტით გათავლისწინებულია 4 კმ-იანი გზის მონაკვეთის სრული მოასფალტება.



დუშეთი

# ძლიერი საქართველოსთვის

### ამბროლაური – გარემოს დასაცავად

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ლომთაძე პროექტ „დავასუფთაოთ საქართველოს (ფაზა III)“ ფარგლებში შეხვდა ორგანიზაცია „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და ნარჩენების მართვის“ თანამშრომლებს. შეხვედრას ესწრებოდნენ გამგებლის წარმომადგენლები ამბროლაურის მუნიცპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სახიფათო ნარჩენები და მათი საშიში ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.

### ზუგდიდი – ჯანდაცვის კომისიამ 90 მოქალაქე დააფინანსა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის კომისიამ მორიგ სხდომაზე 90 მოქალაქეს სხვადასხვა სამედიცინო მომსახურება დაუფინანსა.

კომისიის გადაწყვეტილებით, მედიკამენტები 48, ქიმიოთერაპია 1, ტომოგრაფია 3, ოპერაცია კი 8 ბენეფიციარს დაუფინანსდა. C ჰეპატიტის დიაგნოსტიკის პროგრამაში ჩაერთო 28 მოქალაქე. ცერებრალური დამბლის მქონე 2 ბენეფიციარს სარეაბილიტაციო მკურნალობა დაუფინანსდა.

აღნიშნულ სამედიცინო მომსახურებებზე 13 710 ლარი დაიხარჯა.


სენაკი

### ქ. ფოთი – მდ. რიონზე ახალი საავტომობილო ხიდის მშენებლობა იწყება

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მდ. რიონზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობისა და ქ. ფოთში შიდა გზების რეაბილიტაციის პროექტის თაობაზე საჯარო განხილვა გაიმართა.

აზიის განვითარების ბანკის პროგრამის (შUTIP) ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, საქართველოს გზების დეპარტამენტთან ერთად მდინარე რიონზე ხიდის მშენებლობის და ფოთის ურბანულ ცენტრთან და პორტის ნაგებობასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაციას გეგმავს.

ახალი საავტომობილო ხიდი აშენდება თბილისი-სენაკი-ფოთის მაგისტრალური გზის მშენებლობის ფარგლებში. იგი მნიშვნელოვანად გაზრდის არსებული გზის გამტარუნარიანობას და უზრუნველყოფს ფოთთან შეუფერხებელ კავშირს ჩრდილოეთის მხრიდან.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია ავტომაგისტრალიდან (ახალი ხიდიდან) ქალაქამდე მისასვლელი გზისა და ფოთის პორტთან ხიდის დამაკავშირებელი რამდენიმე ქუჩის მოწესრიგება, ნიკოლაძის სანაპიროს მონაკვეთის რეაბილიტაცია. პროექტი მუშავდება ესპანური კომპანია „ევროსტუდიოს“ მიერ და მისი ღირებულება 41 მილიონი ლარია.

### აბაშა – დასახლების საერთო კრებები

აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის №624 ბრძანების საფუძველზე ერთი კვირის განმავლობაში იმართებოდა დასახლების საერთო კრებები. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს ქალაქ აბაშის, ზანათის, სუჯუნის, სამიქაო-მაიდნის, მარნის, ქოლობნისა და გეზათის ადმინისტრაციულ ერთეულებში. საერთო კრებებს აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელ მამუკა კვიტაშვილთან ერთად ესწრებოდნენ გამგეობის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლები. კრებები დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა. ამომრჩევლებმა მოიწონეს წარდგენილი პროექტები.

### პოლონელი სტუმრები მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტს პოლონეთიდან, ოდოლანოვის მუნიციპალიტეტიდან დელეგაცია სტუმრობდა. სტუმრებს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსი გაბისონიამ უმასპინძლეს. სტუმრებმა დაათვალიერეს მარტვილის ღირსშესანიშნაობები, ტურისტული ადგილები, დაესწრნენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას. მარტვილის მუნიციპალიტეტსა და ოდოლოვანოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა პარტნიორობისა და ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე გრიგალავამ და ოდოლანოვის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მარიან ჯანიცკიმ.

### სენაკის ცენტრის რეკონსტრუქცია–რეაბილიტაცია

დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ ქალაქის ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს. რუსთაველისა და წმინდა ნინოს ქუჩების კვეთაზე ამ ეტაპზე დასრულებულია მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება. მიმდინარეობს მოედნის მომზადება ქვაფენილის მოსაწყობად.


ბორჯომი

### ჩხოროწყუ – სოფელ ჭოღაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

იგება ასფალტბეტონის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე არხი. სამუშაოებზე დასაქმებულია 20 ადამიანი. გზის რეაბილიტაციის სამუშაოები ოქტომბრის ბოლოს დასრულდება.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ და წალენჯიხისა და ჩხოროწყუს მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგა გულორდავამ, გამგებლის პირველ მოადგილე გოჩა ჩიქოვანთან და გამგეობის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ ჭოღაში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს, შეხვდნენ მოსახლეობას და მათს საჭიროებებს გაეცნენ. ადგილობრივებმა მადლიერება გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ გზის დაგებით სოფელში წლობით დაგროვილი პრობლემა გადაიჭრა.

### წალენჯიხა – შიდა ქუჩების რეაბილიტაცია

ქალაქ წალენჯიხაში ფიფიას, ტაბიძის, დადიანის, წურწუმიას, ხობელიას, სამეგრელოს და მარჯვენა სანაპიროს ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარი დაიგება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხობელიასა და ტაბიძის ქუჩების რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები, რომლის მიმდინარეობაც დაათვალიერეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ.

### ბორჯომსა და ბაკურიანში ორი ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ბორჯომში გზის რეაბილიტაცია ვაჟა-ფშაველას ქუჩის I და II მონაკვეთს უტარდება, ეწყობა ასევე ბეტონის არხი, დაბა ბაკურიანში კი ასფალტბეტონის საფარი ტატრაპომას მისასვლელ გზაზე იგება.

პროექტის ფარგლებში ჯამში 700 მ გრძივი მონაკვეთის გზის მოწესრიგებაა დაგეგმილი. სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ 193 767 ლარით ფინანსდება.

სამუშაოები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად გაგრძელდება.

## მ ა დ ლ ო ბ ა !

**თბილისში ვცხოვრობ, მაგრამ გულმა ჩემი მშობლიური კახეთისკენ გამიწია და სოფელ ვაქირში აგარაკი შევიძინე. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩემთან ერთად ხუთ კომლს წყალი არ მიეწოდებოდა.**

**შევიკრიბეთ მეზობლები და გადავწყვიტეთ გამგებელთან, ბატონ ილია ხატიაშვილთან მისვლა და გარკვევა, რა გვეშველებოდა. მეზობლლებმა ტელეფონიც მომცეს და ძალიან კარგადაც დამიხასიათეს სოფლის თავკაცი. დავრეკე მასთან (მე პირადად არც ვიცნობდი)**



**და ვკითხე, შეხვედრა როდის შეეძლო ჩვენთან. მან მიპასუხა, მე ყოველთვის მცალია ჩემს ხალხთან შესახვედრად. მითხარით, სად ბრძანდებით და მე თვითონ მოვალ თქვენთანო. საქმისადმი ასეთი მიდგომა ძალიან მესიამოვნა და მალევე შედგა კომუნიკაცია ჩვემსა და გამგებელს შორის. მან აღგვითქვა, რომ ის ხარვეზი, რაც ელემენტარული დაუდევრობით იყო გამოწვეული, გამოსწორდებოდა. მართლაც, მცირე ხანში წყლის მოწოდება აღსდგა და ხუთმა ოჯახმა შვებით ამოისუნთქა.**

**ჩემი და ჩემი მეზობლების სახელით მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ბატონ ილია ხატიაშვილს გულისხმიერებისა და თანადგომისთვის, რაც ჩვენს რეალობაში, ცოტა არ იყოს, იშვიათობა გახდა.**

**საქმისადმი ერთგულებისა და ადამიანების მიმართ განსაკუთრებული ზრუნვის გამო ბატონი ილია არა მარტო ვაქირელებს, მთელ სიღნაღს უყვარს.**

**აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მადლობას ვუხდი სიღნაღის გამგებელს დავით ჯანიკაშვილს სწორი საკადრო პოლიტიკის გატარებისთვის, რომელიც შესაძლებელს ხდის, საქვეყნო საქმის სათავეებთან ისეთი ადამიანები იდგნენ, როგორიც ილია ხატიაშვილია.**

**მზია უჩუნაშვილი**
**555 46 82 00**

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

ისტორიული ფაქტებია, რომ ჰიტლერი ისეთი აღტკინებით ყვებოდა რაღაც იდუმალ ქალაქზე, რომელიც მიწისქვეშეთშია ქვეყნის უზენაესი მბრძანებლის გამგებლობის ქვეშ, რომ დუჟმომდგარს გონება ეკარგებოდა. იგი კონკრეტულად ვერ ან არ ასახელებდა იდუმალი ქალაქის ადგილს, მაგრამ სავარაუდოდ კავკასიას ახსენებდა, ჰიმალაის მთებს და ტიბეტის მთიანეთს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მიწისქვეშეთს მთებში.

მას იმდენად დადასტურებულად კარნახობდნენ მაგები „რაღაცას“, რომ „ღრუ დედამიწის“ თეორიაც კი შეიქმნა და ჰიტლერის თანამედროვე ასტროლოგები სიკვდილის მუქარით აიძულებდნენ პროფესორებს ამ ახალი „თეორიის“ გაზიარებას. ჰიტლერს იმდენად სჯეროდა მისტიკური ამბების, რომ „ფაუ-2-ის“ წარმოებაც კი შეაჩერა დროებით, რათა „მარადიული ყინულის სამეფოს“ განრისხება არ გამოეწვია

ფიურერი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ იარაღის ტარების უფლება მხოლოდ გერმანელს უნდა ჰქონოდა, თუმცა, არნო შიკედანცის (ის იყო დანიშნული ჩვენს „უფროსად“) ანგარიშში გამოკვეთილად ეწერა, რომ სხვა ხალხებისგან განსხვავებით, კავკასიელებისთვის, პირველხანებში მაინც, უფლება უნდა მიეცათ ცივი იარაღის ტარებისა, რადგან ეს (ხმალი, ხანჯალი) თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნიათო; ასევე, ნება უნდა მივცეთ, რომ ეროვნული სამოსიც ჩაიცვან, თავიანთი წეს-ჩვეულებები შეასრულონ, შეინარჩუნონ საკუთარი ენა და ეროვნული სიმღერებიო (ვინაიდან, ქართული ენა კოდირებულია და მასში ჩადებულია საიდუმლოების გასაღები). ამას თავის შუამდგომლობასაც ურთავდა პოლიციისთვის ეროვნული ფორმის შენარჩუნების თაობაზე და უმთავრესი, კონკრეტულად თბილისში ერთი უმაღლესი სასწავლებლის დატოვებაზე. შიკედანცი წერდა, როგორმე უნდა შევაგნებინოთ, რომ მათთან ისე არ მოვიქცევით, როგორც რუსეთსა და უკრაინაშიო. რეალურად რა მოხდებოდა საბჭოთა კავშირს რომ არ გაემარჯვა სამამულო ომში, ვინ იცის, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი დამოკიდებულება ფაშისტების მხრიდან, კონკრეტულად, საქართველოს მიმართ?

რაგინდ ვიძახოთ კანარისის დივიზიის ფარგლებში შემავალი სამხედრო ტყვეებით შექმნილი „თამარ-1“, „თამარ-2“, „მთიელი“ და „ბულბული“, ფაქტი ფაქტად დარჩა, საქართველო 1917 წელს გერმანიამ იხსნა თურქეთისგან, მერე კი 1941–1945 წლებში, დიდი სამამულო ომის დროს, თითქმის მთელი ევროპის გადამბუგველი, ლამის აღთქმას დებდა საქართველოს ხელუხლებლობის შესახებ. (ამასვე იმეორებდნენ ემიგრაციაში მყოფი, ფაშისტურ წრეებთან დაახლოებული ქართველი მენშევიკები. ამისა სჯეროდათ იმ ახალგაზედული ორგანიზაციის წევრებსაც, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა ორგანიზაციებში წევრიანდებოდნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ) 1997–1998 წლებში კი, ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის ტერიტორია, რომელიც ამოუცნობის „საბადოა“ იჯარით გადაეცა ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც რატომღაც ისე მოხდა, რომ გერმანული იყო...

მოკლედ, ეჭვი გამიჩნდა, რომ საქართველოს სიღრმისეულ გეოგრაფიულ ტერიტორიაში ჩადებულია უდიდესი საიდუმლო და სავარაუდოდ, ეს იცოდა ჰიტლერმაც. იქნებ, მართლაც ეს იყო გერმანელების ინტერესი და ეს საიდუმლო იცის საქართველოს ყველა ისტორიულმა მტერმა? იქნებ ეს არის ახალდროების „ოქროს საწმისი?“

იქნებ, არც ჩინელების საქართველოთი დაინტერესება უნდა მივიჩნიოთ შემთხვევითობად? – უძველესი ერია, თავიანთი ბევრი საიდუმლო აქვთ და იციან სხვებზეც, – მეორედ მოსვლა ახლოვდება და იქნებ იმ ადგილისკენ მოდიან, რომელიც უნდა გადარჩეს; გვახსოვს, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, სუხიშვილების ანსამბლს იაპონიაში რომ ჰქონდა გასტროლები, რომელიღაც ქართულმა ცეკვამ აღაშფოთა დარბაზში დამსწრე სწავლული იაპონელი, ეს საკრალური მოძრაობებია, ამის საქვეყნოდ ჩვენება როგორ შეიძლებაო; მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებში, სადმე თუ შეგხვედრიათ ის უცვლელი სიუჟეტი, რომ მიწისქვეშეთში მიჰყავს ფასკუნჯს უფლისწული... მოკლედ, ბევრი რამ გამახსენდა ჰიტლერის „ღრუ დედამიწის“ გადამკიდეს და უპირველესად ჩვენი ნუნისი, ბალნეოლოგიური კურორტი ხარაგოულის მთებში, ვეშაპის მუცელში. ჰიტლერს მასხრად იგდებდნენ „ღრუ დედამიწის თეორიის“ გამო, მაგრამ მილიონობით მიმდევარი გამოუჩნდა მსოფლიოში.

ნუნისში ასულმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან საუბრისას გავიგე, რომ გადმოცემის მიხედვით, იქ, მთებში, პატარა ქვაბულში 12 ბერი სახლობდა, რომელთაც არანაირი კონტაქტი არ ჰქონდა მოსახლეობასთან. გადმოცემამ არ შემოინახა ინფორმაცია, საიდან გაჩდნენ ბერები იქ, მაგრამ ერთ დღეს მწყემსმა აღმოაჩინა, რომ ბერებმა ცოცხლად დაიმარხეს თავი ქვაბულში და თავი ამოიგმანეს იმ ლოდით, რომელიც პირადად მაქვს ნანახი. მას შემდეგ იმ დღემდე, (20 წლის წინანდელ დღეზე ვამბობ) ღამით, არცთუ იშვიათად, თუ ლოდზე ყურს მიადებ, მიწის სიღრმიდან, ლოდის მიღმიდან მამაკაცები მღერიან...

ნუნისი კიდევ ერთხელ მაშინ გამახსენდა, როცა გავიგე, რომ ედუარდ შევარდნაძეს, („ვარდების რევოლუციამდე“ ცოტა ხნით ადრე, „ახალგაზრდა რეფორმატორები“ ძალას რომ იკრებდნენ, დაახლებით 1997–1998 წლები იქნებოდა) იჯარით გადაუცია ის ტერიტორია ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციისთვის. მათ იციან იქ რა არის! – შევყვირე გველნაკბენივით, მაგრამ რადგან ვერავინ ჩასწვდებოდა, რაგინდ მომეთხრო ნუნისის გამოქვაბულის შესახებ, იქვე ჩავჩუმდი... ორგანიზაცია გერმანული იყო,– ისევ გერმანია!

საინტერესოა, რომ ჰიტლერის მსგავსი მოსაზრება ჯერ კიდევ 1818 წელს წამოაყენა ჯონ კლივზ სიმს-უმცროსმა, იმ განსხვავებით, რომ „ღრუ დედამიწის“ ნაცვლად, დედამიწის გარსი იყო ფუღურო, რომლის სისქედ დაასახელა 1300 კმ და ჰქონდა 2300 კმ დიამეტრის გამოსასვლელები ორივე პოლუსის მხარეს. იგი შეეცადა ექსპედიციის გაგზავნას ჩრდილოეთ პოლუსზე, მაგრამ პრეზიდენტმა ენდრიუ ჯექსონმა შეუშალა ხელი.

მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა გააგრძელა მამის საქმიანობა და წამოაყენა დამატებითი მოსაზრება, რომ დედამიწის შიგნით ცხოვრობს ისრაელის ათი დაკარგული ტომი... რომელ ათ ტომზეა საუბარი ნეტავ, ალექსანდრე დიდს რომ „გამოუკეტია“ კასპიის მთების გადაღმა რათა მსოფლიო აღსასრული არ გამოეწვიათ, ასირიელთა ტყვეობიდან ჩრდილოეთისკენ წასულ იმ ათ ტომზე, რომელიც 721 წელს ჩვ.წ.აღ-მდე ისრაელის ჩრდილოეთ სამეფოს წარმოადგენდნენ? რომელთაგან ერთ ტომად „ხევსურებს“ თვლიან? („ხევის ურიები“)

გერმანული ე.წ „ღრუ დედამიწის თეორიის“ წარმოშობის სათავესთან, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნის ამერიკელი წინასწარმეტყველი კიროს (შემდგომში „კორეში“) თიდი იდგა, რომელსაც „დიადი ქალღმერთი“ გამოეცხადა. მის თეორიას მცირე ხანს მიექცა ყურადღება ამერიკაში, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი გერმანიაში გადაინაცვლა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ისიც იმიტომ, რომ ომის ვეტერანი პეტერ ბენდერი მოექცა მისი „მოძღვრების“ გავლენის ქვეშ, მან კი თავის მხრივ მოახერხა ჰერმან გერინგის დაინტერესება.

პირველი ცდა მაგდებურგში ჩატარდა, ინჟინრებმა სცადეს გაესროლათ რაკეტა, რომელიც „ფუღურო დედამიწის“ მეორე მხარეს გაატანდა. ცდა წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ფაქტია, დამსწრე ტექნიკოსები შემდგომში უკვე „ფაუ-2-ის“, პირველი ბალისტიკური რაკეტების პროგრამაში მუშაობდნენ, რომლებმაც რაკეტა კი, გაისროლეს, მაგრამ „ღრუ დედამიწის“ გავლით მეორე მხარეს – ვერა.

მეორე ესქპერიმენტი რიგერის კუნძულზე ჩატარდა და მასში მონაწილეობდნენ მძლავრი ტელესკოპებით აღჭურვილი საზღვაო ოფიცრები და მეცნიერები, რომლებიც ცდილობდნენ აღმოეჩინათ ბრიტანული საზღვაო ფლოტი ცაში. აღნიშნული უაზრო „საქმის“ არსი შემდეგში მდგომარეობდა, „მოძღვრების“ მიხედვით, სამყარო წარმოადგენს კლდოვან მასას და მის ერთ-ერთ ქვაბულში ვცხოვრობთ ჩვენ. სინათლეები, რომლებიც ვარსკვლავებად და პლანეტებად მიგვაჩნია, სინამდვილეში სხვა ქალაქების სინათლეებია, რომლებიც ამავე ქვაბულის კედლებზე არიან განლაგებული... ბენდერის და მისი ოჯახი რომ საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა „რაიხის შეცდომაში შეყვანის“ გამო, გასაკვირი არ უნდა იყოს... თუმცა, ბოლოდროინდელი ინფორმაციით, დედამიწა ღრუ უნდა იყოს და მასში ვებერთელა ოკეანეცაა...

რაც შეეხება „ღრუ დედამიწას“, საიდუმლო გვირაბები აღმოჩნდა ეგვიპტეში გიზას და ცენტრალურ ამერიკაში ტეოტიუკანის პირამიდების ქვეშაც. მინიატურული რობოტები გადმოსცემენ დღემდე მიუწვდომელი გამოქვაბულებების გამოსახულებებს რომლებიც არის თურქეთში, ისრაელში, ბულგარეთში, ბოსნიაში, ხოლო მიწის ქვეშ ჩამალული პირამიდები კიდევ არა ერთი აღმოჩნდა საჰარის უდაბნოში. გვირაბების უზარმაზარი ქსელია პერუს, ბოლივიის, ბრაზილიის, კოლუმბიის, არგენტინის, ჩილეს ქვეშ და ყველა ეს გვირაბი ხელით ნაკეთები, ქვაში გამოთლილი ნაგებობებია. რუსი მეცნიერი, სპელეოლოგი ვიქტორ კოტლიაროვი 20 წელზე მეტია კავკასიის მთებს სწავლობს და არა ერთი მტკიცებულება მოიპოვა, რომ დედამიწის




ამ ნაწილში პირამიდებია, რომლებიც ხშირად ტყითაა დაფარული და ვინაიდან ჟამთა სვლისგან ხშირად წვერი ჩამოშლილია, პირამიდის სილუეტის ამოცნობა შეუძლებელია.

ერთი ვერსიით, პირამიდები დამცავ ფუნქციასაც ითავსებდნენ – მეგალითური კომპლექსი მოქმედებდა როგორც აკუსტიკური დანადგარი, რომელიც მოწინააღმდეგეს ყოველგვარი გასროლის გარეშე ანეიტრალებდა...

ცნობილია მალტის მიწისქვეშა ჰიპოგეს საკულტო ტაძარი, სადაც, განსაკუთრებული აკუსტიკის შესაქმნელად, იატაკის დონეზე იდეალური ფორმის ხვრელებია. ჰიპოგეში ჩატარებულმა კვლევებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო – მიწისქვეშა ბგერითი სიხშირე შუმანის რეზონანსის დიაპაზონს აღემატება, ანუ იქ ყოფნის დროს თავის ტვინის ნახევარსფეროების მუშაობის ფუნქციები ირღვევა და ამომავალი ბგერითი რყევების კომბინაციამ, შესაძლოა, ადამიანი ტრანსულ მდგომარეობაში შეიყვანოს.

მსგავსი აკუსტიკური ეფექტი აღმოჩენილია სხვა მიწისქვეშა კომპლექსებშიც, მაგალითად, ფრიგიის დაბლობზე თურქეთში, ისრაელში (ბეტ გავრინი), ბულგარეთში (პროხოდნა)...

ჩინეთის ტერიტორიაზე ასობით მცირე ზომის პირამიდაა, მათგან ზოგი დაზიანებული, მაგრამ ჩინეთი საგულდაგულოდ მალავს ყველანაირ ინფორმაციას მათ შესახებ. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰიტლერი არ ბოდავდა, დედამიწა მართლაც დაქსელილია მიწისქვეშა გვირაბებით.

საქართველოში არა ერთი და ორი ქვაბულია, რომლის პირდაპირი დანიშნულება დღეს უცნობია, მხოლოდ ვვარაუდობთ რაღაცებს, მაგრამ იქნებ ეს ჩვენმა გონიერმა წინაპარმა იმ დროს გამოთხარა, როცა ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დავიწყებული კოსმიური ცოდნა? ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ კლდეში „გამოთლილ“ ყველა ქვაბულს თუ გამოქვაბულს სასმელი წყლის საკითხი „მოგვარებული“ აქვს, არადა, „გამოცხადებაში“ წერია, რომ ციდან ჩამოვარდნილი დიდი ვარსკვლავი დავარდება მდინარეების მესამედ ნაწილზე და დიდძალი ხალხი დაიხოცება წყლებისგან, რადგან ისინი დამწარდებიან და სასმელად უვარგისები გახდებიან. თუ ჩვენმა წინაპარმა შთამომავლობისთვის არ გამოთხარა ამდენი ქვაბული და ის არ იყო საიდუმლო ცოდნის მფლობელი, რანაირად უნდა გაეთვალა, რომ წყალს აღმა დაეწყო დინება ქვაბულში? როგორ ადის ვარძიაში წყალი ქვემოდან ზემოთ? ან ქვის „ვეშაპში“ (იმერეთის მთებში, ნუნისი), რომლის ზემოთ ჰაერია, ქვემოთ – სიცარიელე, შიგ ვეშაპში კი სასმელი წყალი ჟონავს. საიდან? – ალბათ, წარსულიდან, ანუ სხვა განზომილებიდან... ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა...

ნუნისის ბალნეოლოგიურ სამკურნალო დაწესებულებაში ახლა რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში გამართულად მუშაობდა და მისწრება იყო კანის დაავადებებით შეწუხებული ადამიანებისთვის. ნუნისის ზეციური ველით დამუხტული წყალი შველოდა პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებსა და სისხლნაკლულობასაც.

თუ ვთვლით, რომ „გამოცხადებისეული“ აპოკალიფსი ატომურ აფეთქებას ნიშნავს და ხალხის დახოცვა რადიაციით მოხდება; დავამატებთ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, საქართველოს, უფალი არ გაწირავს და კიდევ არაერთ მინიშნებას თვით ქართულ ენაზე, იოანე ზოსიმეს და „ლაზარეს აღდგინებას“; იმასაც, რომ მესია მეორედ ქართულ ენაზე მოვა და „სადღაციდან“ აღმოცენებულ მრავალსაუკუნოვან შეძახილს, „იბერია გაბრწყინდება!“ ვინმეს ეჭვი რა მოსატანია. (ის, რომ ატომურ აფეთქებაზეა საუბარი, ოცი საუკუნის წინ დაგვიხატა იოანე ღვთისმეტყველმა აფეთქების შედეგებიანად)

ზეციური ველით დამუხტული წყალი ძალზე უგემურია, მაგრამ ნახეთ, პირველი წამალია დაწყლულებული კანისა, რაც უპირველესი თანმდევია რადიაციული დასხივებისა. იგივე თვისებების წყალი, ნუნისის გარდა, საქართველოში სხვაგანაც არის და მრავლად. (რადგან არ ვიცი, შეიძლება თუ არა მათი დასახელება ამ ეტაპზე, თავს შევიკავებ) ისევ ქართული ზღაპრები მახსენდება, კვლავ წყალთან დაკავშირებული,– ქართულ ზღაპრებში ხომ უკვდავების წყალს დაეძებენ ზღაპრის გმირები...

ვიცით, რომ ბიბლიური წინაპრები, წინასწარმეტყველები ათას წელზე მეტხანსაც ცოცხლობდნენ, – იქნებ მათ სწორედ ზეციური ველით დამუხტული წყლების ადგილმდებარეობა და მათი საიდუმლო თვისებები იცოდნენ, მისით იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს?

(გაგრძელება იქნება)

# გაათბობს თუ გააცივებს ივლისი მსოფლიოს პოლიტიკურ კლიმატს?

ევროპის ქვეყნებში ზაფხულის ანომალიურ სიცხეებს პოლიტიკური დუღილიც ემატება. მსოფლიოს პოლიტიკოსების ყურადღება გერმანიის ბავარიის მხარის ქალაქ ჰამბურგისკენ არის მიპყრობილი. გასაკვირი არაფერია, რადგან „დიდი ოცეულის“ შეხვედრაზე, 7–8–9 ივლისს, ფაქტობრივად, მსოფლიოს მომავალი უნდა გადაწყდეს. პოლიტიკოსები ყურადღებას განსაკუთრებით აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის დაგეგმილ შეხვედრაზე ამახვილებენ. თუმცა ექსპერტებისა და პოლიტოლოგებისთვის ჯერერჯერობით უცნობია, შედგება თუ არა ეს შეხვედრა.



რუსეთის მხარე ორმხრივი შეხვედრისთვის აქტიურად ემზადება და ამას არც მალავს. სამაგიეროდ, უცნობია თავად დონალდ ტრამპის პოზიცია. რადგან პუტინთან შეხვედრაზე ამერიკელი დიპლომატებიც დუმილს ამჯობინებენ. პოლიტოლოგების ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ტრამპი-პუტინის შეხვედრა არაფორმალური გამოდგეს, მაგრამ დიალოგი სასიკეთო შედეგის მომტანი აღმოჩნდეს. ამასობაში თეთრი სახლიდან გაჟონა ინფორმაციამ, რომ ტრამპმა დავალება მისცა თავის დიპლომატებს, შეადგინონ სია, პუტინთან პირისპირ შეხვედრის შემთხვევაში რომელ საკითხებზე შეიძლება დათმობაზე წასვლა და რომელზე – არა.



ამერიკელი სოციოლოგების კვლევების მიხედვით, რუსეთ-ტრამპის თემას იქაურ ტელევიზიებში პირველი ადგილი უკავია, აშშ-ის საეთერო სივრცეში ამ თემას 353 წუთი უკავია, ეს მაშინ, როდესაც დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემას მხოლოდ 5 წუთი ერთმობა.

გასულ კვირას პენტაგონმა გამოაქვეყნა მოხსენება „რუსეთის სამხედრო ძლიერება“. ექსპერტების შეფასებით, მოხსენების გამოქვეყნება გახლავთ ტრამპზე ზეწოლა ჰამბურგის სამიტის წინ. მათივე შეფასებით, ეს არის სამხედროების პირდაპირი ჩარევა აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში. საინტერესოა, გაითვალისწინებს თუ არა ტრამპი სამხედროებისა და სენატორების რეკომენდაციებს – არ შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტს ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რომელიც რუსეთში გაისად გაზაფხულზე გაიმართება.

დონალდ ტრამპის ბრძოლისუნარიანობა კარგად არის ცნობილი. მან უკვე განახორციელა საპასუხო ქმედებები. ტრამპმა პირდაპირ დაადანაშაულა სიცრუის ტირაჟირებაში ტელეკომპანია CNN. ბრალდებამ ტრამპის მოწინააღმდეგენი აღაშფოთა, თუმცა ტრამპის ადმინისტრაციის წევრებზე ამას დიდად არ უმოქმედია. თეთრი სახლის პრესსამსახურის წამყვანმა თანამშრომელმა სარა სანდერსმა ჟურნალისტებს პირდაპირ განუცხადა: „დონალდ ტრამპი დარტყმას დარტყმით პასუხობს, ვალში არავისთან დარჩება და ეს ნუ გაგიკვირდებათ“. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ტრამპი საგარეო და საშინაო წინაღობების დაძლევას.

ევროკავშირის ქვეყნებს გადაწყვეტილი აქვთ ჰამბურგში ერთიანი ფრონტით შეუტიონ ტრამპს. მათი გაღიზიანება მაისში იტალიაში, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულებულმა „დიდი შვიდიანის“ შეხვედრამ გამოიწვია. სწორედ „შვიდიანის“ შემდეგ განაცხადა ტრამპმა, რომ აშშ პარიზის ხელშეკრულებიდან გამოდის. ზუსტად ამის შემდეგ დაიძაბა ურთიერთობა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის. საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი უფრო შორს წავიდა და გასულ კვირას განაცხადა, რომ ტრამპის გარეშეც შეუძლია სირიის დაბომბვა. ევროპელმა ექსპერტებმა მაკრონის განცხადება ირონიულად შეაფასეს: „როგორც ჩანს, მაკრონისთვის ლიბიის მაგალითი საკმარისი არ არის“.

ევროკავშირის გარდა, როგორც ჩანს, დიდი ოცეულის სხვა წევრი ქვეყნებიც აქტიურად ემზადებიან ჰამბურგის სამიტისთვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთის ლიდერის სინ ძიაო პინის ვიზიტი მოსკოვში, რომელიც სამიტამდე ორი დღით ადრე შედგა. აქვე სათქმელია, რომ ჩინეთის ლიდერი წლეულს უკვე მესამედ შეხვდა პირისპირ რუსეთის პრეზიდენტს. ტრადიციულად, შეხვედრის დეტალებზე პოლიტიკოსები დაწვრილებით არ საუბრობენ, მაგრამ ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა ჰამბურგისთვის საერთო სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს. მოსკოვში ვიზიტისას ჩინეთ-რუსეთს შორის რამდენიმე ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რომლის საერთო ღირებულება 10 მილიარდი დოლარია. სავარაუდოდ, „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ წევრი ქვეყნები, თითქმის ერთნაირი პროგრამით და წინადადებით ეწვევიან გერმანიას.

გასულ კვირას მოსკოვში იმყოფებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი კორიფე პოლიტიკოსი, აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი, რომელიც 95 წლისაა, მაგრამ, მიუხედავად ასაკისა, მხნედ გამოიყურება და მის აზრს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ითვალისწინებენ. მართალია, ოფიციალურად იგი ევგენი პრიმაკოვის ხსოვნის ღონისძიებაზე იყო მიწვეული, მაგრამ მხცოვან დიპლომატს რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა უმასპინძლეს, პირისპირაც გამართეს საუბარი. ეს ხდება „დიდი ოცეულის“ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბატონი კისინჯერის ვიზიტი საქმიანი იყო, ადვილი შესაძლებელია, თავად ტრამპის თხოვნით ეწვია იგი რუსეთს.

კიდევ ერთი საინტერესო მოვლენა. გასულ კვირას თურქეთის პრეზიდენტის პირადი მიპატიჟებით ქვეყანას ოფიციალური ვიზიტით რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ეწვია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თურქეთსა და არაბულ ქვეყნებს შორის დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე ერდოღანმა დემონსტრაციულად აჩვენა მათ, ვინ არის მისი მეგობარი. ეს მაშინ, როდესაც არაბული ქვეყნები მას კატეგორიულად სთხოვენ ყატარში სამხედრო ბაზის გაუქმებას, რასაც ერდოღანი ასევე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. ამასთან,. ყატარი, თავის მხრივ, მიუხედავად არაბული ქვეყნების ზეწოლისა, უარზეა, შეწყვიტოს ურთიერთობა ირანთან და თურქეთთან. რეგიონში რუსეთის გამოჩენა, მით უფრო, თავდაცვის მინისტრის პატივით მიღება, მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში გავლენის სფეროების გადანაწილება იწყება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– ჩემი შვილი და რძალი განქორწინდნენ. ამჟამად მათ შორის დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა. რა შეიძლება მოხდეს სამართლებრივად?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

* * *

**–სამსახურებრივი საქმიანობის დროს ხელი დამიზიანდა სერიოზული გართულებებით. მაქვს გასაკეთებელი ოპერაცია. ხელმძღვანელობამ უარი მითხრა ოპერაციის ხარჯების გადახდაზე. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?**

– არ გეკუთვნით. დაგიკონკრეტებთ;

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები – დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

წარმოდგენილი ნორმის მიხედვით, თქვენი შემთხვევა განიხილება ჯანმრთელობის სხვა დაზიანებად. აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში სარჩელთან ერთად ცნობა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და, ასევე, მოგიწევთ მტკიცება იმის შესახებ, რომ ეს დაზიანება თქვენ ნამდვილად მიიღეთ სამსახურში არა თქვენი ბრალეულობით.

* * *

**– როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

– სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

**– განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

– დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

**– არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, რა ასაკიდან ითვლება პირი არასრულწლოვნად?**

– არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

# საინტერესო ფაქტები ჯანმრთელობის შესახებ



## დღეში ერთი მუჭა კაკალი სიცოცხლეს გაგიხანგრძლივებთ

დიდი ბრიტანეთის ლონდონის იმპერიის კოლეჯისა და ნორვეგიის მეცნიერებათა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მკვლევარების ჯგუფმა სამედიცინო ჟურნალში გამოაქვეყნა სტატია. ავტორებმა გააანალიზეს 20 გამოკვლევის შედეგები, რომლებიც მანამდე იყო გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებში. გამოკვლევები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იყო ჩატარებული და მათში 819 ათას ადამიანზე მეტმა მიიღო მონაწილეობა.

დადგინდა, რომ ყოველდღიურად დაახლოებით 20 გრამი ნებისმიერი კაკლის მიღება ამცირებს: გულის იშემიური დაავადების განვითარების რისკს 30 პროცენტით, ინსულტისა – 7 პროცენტით, გულსისხლძარღვთა დაავადებებისა 20 პროცენტზე მეტად, ხოლო კიბოს განვითარებას – 15 პროცენტით. გარდა ამისა ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების რისკს ამცირებს 22 პროცენტით, სასუნთქი ორგანოების დაავადებებისგან 50 პროცენტზე მეტით, დიაბეტისგან 40 პროცენტით, ნეიროდეგერაციული დაავადებებისგან 35 პროცენტით, ინფექციური დაავადებებისგან 75 პროცენტით და თირკმელების დაავადებებისგან 73 პროცენტით.

მეცნიერები გულისხმობდნენ ნებისმიერი სახეობის კაკალს, რომლებიც ხეზე იზრდება, ასევე არაქისსაც, მაგრამ მათი მოხმარებისგან მიღებული სასარგებლო ეფექტი უცვლელი იყო. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მრავლობითი რისკის ფაქტორებიც, რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა დაავადებებსა და სიკვდილიანობაზე, მაგრამ შედეგები უცვლელი იყო როგორც ქალების, ასევე მამაკაცების შემთხვევაშიც.

როგორც ნაშრომის ერთ-ერთმა ავტორმა დაგფინ აუნემ განაცხადა, საქმე კაკლისა და არაქისის საკვებ ღირებულებაშია: „ისინი მდიდარია უჯრედისით, მაგნიუმით და გაუჯერებელი ცხიმებით. ყველა ეს ნივთიერება ამცირებს ქოლესტერინის დონეს, ესე იგი გულსისხლძარღვთა დარღვევების რისკს. გარდა ამისა, ბერძნულ კაკალში ბევრი ანტიოქსიდანტია, რომლებიც ამცირებენ დამჟანგავ სტრესსა და კიბოს განვითარების რისკს“.

## მაღალი არტერიული წნევის გამომწვევი მიზეზი თამბაქოს გამოყენება და ჯდომითი სამუშაოა

საიდუმლო როდია, რომ იმ ადამიანებს, რომლებსაც უძილობა აწუხებთ, უფრო სუსტი ჯანმრთელობა აქვთ – მათი იმუნიტეტი ხშირ შემთხვევაში დასუსტებულია, ადვილად ერევათ დეპრესია და ბევრი სხვა დაავადება. ამასთან, ითვლება, რომ ერთი-ორი უძილოდ გატარებული ღამე ჯანმრთელობას არ ვნებს. მაგრამ როგორც უკანასკნელმა გამოკვლევებმა უჩვენა, ეს მცდარი მოსაზრებაა.

ახალი გამოკვლევების შედეგებმა, რომლების ბონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჩაატარეს, უჩვენა, რომ ძილის ხანმოკლე დარღვევასაც ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების გამოწვევა შეუძლია. მეცნიერებმა დენიელ კიუტინგის ხელმძღვანელბით ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც 19 მამაკაცი და ერთი ქალი იღებდა მონაწილეობას. მათ ჩაუტარდათ გულისა და სისხლძარღვთა სრული გამოკვლევა მას შემდეგ, რაც ღამით მხოლოდ 3 საათი ეძინათ.

მათ გაუკეთდათ სისხლისა და შარდის ანალიზი, გაუზომეს



არტერიული წნევა და გულის შეკუმშვის სიხშირე. გამოკვლევების მონაწილეებს ეკრძალებოდათ შოკოლადის, კაკლის ან ჩაის მიღება. გაირკვა, რომ მხოლოდ ერთ უძილო ღამესაც შეუძლია არტერიული წნევისა და გულის შეკუმშვის რაოდენობის მომატება. გარდა ამისა, მონაწილეთა სისხლში მომატებული იყო სტრესის ჰორმონების დონე. ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ ძილის უგულებელყოფა არ შეიძლება.

უფრო ადრე ამერიკის როდაილენდის შტატის მემორიალური საავადმყოფოს სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ გულზე უარყოფითად აისახება წონის სწრაფი მატება და კლება.

## ვახშამზე უარის თქმა ცხიმების წვას უწყობს ხელს

ამერიკის პენინგტონ ბიომედიკალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიეტოლოგებმა ვახშმის შეზღუდვასთან დაკავშირებული ექსპერიმენტის მსვლელობისას მოულოდნელი დასკვნა გააკეთეს.

გამოკვლევების დროს დადგინდა, რომ ვახშამზე უარის თქმა არა მარტო აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, არამედ საღამოს შიმშილის გრძნობის შემოტევასაც აცილებს თავიდან, რაც ცხიმების დაწვას უწყობს ხელს.

ექსპერიმენტში მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათეული მოხალისე. დიეტოლოგებდა დაადგინეს, რომ საკვების მიღება 8, 14 და შემდეგ 18 საათზე გამოკვლევების მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, უკეთ ეკონტროლებინათ შიმშილის გრძნობა, ვიდრე იმ ადამიანებს, რომლებიც 8-დან 20 საათამდე დროის მონაკვეთში იკვებებიან. მეორე შემთხვევაში მოხალისეებს აღენიშნებოდათ ძილის წინ მკვეთრი შიმშილის გრძნობის შემოტევები, განაცხადა გამოკვლევების ავტორმა კორტნი პეტერსონმა.

დამატებითი გამოკვლევების დახმარებით, რომელიც საღამოს საათებში საკვების მიღების შეზღუდვას ეხებოდა, დიეტოლოგები შეძლებენ დაადგინონ, რამდენად ეფექტიანი იქნება ეს მეთოდი ჭარბწონიანობის პროფილაქტიკასა და მკურნალობაში.

უფრო ადრე დოკუზ ეილულის უნივერსიტეტის მეცნიერებმა განაცხადეს, რომ გვიანი ვახშამი ზრდის ინფარქტის რისკს.



## დღეში ერთი კვერცხი ინსულტის განვითარების რიკს ამცირებს

გავრცელებულია აზრი, რომ კვერცხის ბოროტად გამოყენებას შეუძლია გამოიწვიოს ქოლესტერინის დონის ზრდა და გულთან და სისხლძარღვებთან დაკავშირებული პრობლემები. ბოლო დროს გამოჩნდა პუბლიკაციები, რომლებიც ამ მითს უარყოფს.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნდა მართომასშტაბიანი გამოკვლევების შედეგები, რომელშიც მეცნიერებმა ვერ შეძლეს დაედგინათ კავშირი კვერცხის გამოყენებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის ზრდას შორის.

მკვლევართა ჯგუფმა, რომელსაც დომინიკ ალექსანდრი ხელმძღვანელობდა, 1982–2015 წლებში გამოქვეყნებული სტატიები დაამუშავა, რომლებშიც შესწავლილი იყო გულის კორონარული დაავადების რისკსა და კვერცხის გამოყენებას შორის კავშირი. როგორც აღმოჩნდა, დღეში ერთი ცალი კვერცხის მიღება ინსულტის რისკს 12 პროცენტით ამცირებს, მაგრამ რაციონში კვერცხის შეტანა გულის კორონარული დაავადების განვითარების ალბათობაზე გავლენას არ ახდენს.

ავტორების თქმით, მათ ჯერ ვერ გაარკვიეს, როგორ ამცირებს კვერცხის გამოყენება ინსულტის განვითარების რისკს. ისინი ვარაუდობენ, რომ ეს კვერცხში შემავალი ანტიოქსიდანტების მოქმედებასთან არის დაკავშირებული – ისინი ებრძვიან ანთებით პროცესებს და ამცირებენ დამჟანგავი სტრესის დონეს.

ერთ მოზრდილ კვერცხში შედის 6 გრ ცილა, ანტიოქსიდანტები ლუტეინი და ზეაქსანტინი, ასევე ვიტამინები **A, D** და **E.** გარდა ამისა, კვერცხში შედის პოლიარაგაჯერებული ცხიმის მჟავეებიც, ისევე, როგორც თევზში, რომლებიც ტვინის მუშაობას უწყობს ხელს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com